# მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის მიმართულებები საქართველოში



## შინაარსი

1. შესავალი ........ 3

2. პროგრამის შეჯამება: ძირითადი შედეგები და მიღწევები ........ 4

3. ქვეყნის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები ........ 5

**3.1 კავშირი ეროვნულ პრიორიტეტებთან** ........ 5

**3.2 ხარვეზები და შესაძლებლობები** ........ 7

**3.3** მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის სტრატეგიული პრიორიტეტები ........ 7

4. მე-8 სამუშაო ფაზის პრიორიტეტული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები & სტრატეგიული ინიციატივები ........ 12

**4.1 გრანტების გაცემა პრიორიტეტულ სახმელეთო და საზღვაო ლანდშაფტებზე** ........ 12

**4.2 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების-მთავრობის-კერძო სექტორის დიალოგის პლატფორმები** ........ 22

**4.3 სოციალური ინკლუზია, მათ შორის, გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება** ........ 23

**4.4 ცოდნის მართვის გეგმა** ........ 25

5. კომუნიკაციის გეგმა ........ 26

6. რესურსების მობილიზაციისა და პარტნიორობის გეგმა ........ 29

7. პარტნიორობის შესაძლებლობები ........ 30

8. რისკის მართვის გეგმა ........ 31

9. მონიტორინგის და შეფასების გეგმა ........ 34

**9.1** მონიტორინგი პროექტებისა და ქვეყნის დონეზე ........ 35

**9.2** ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის შედეგების ჩარჩო ........ 39

**ფინანსური რესურსები მე-8 სამუშაო ფაზისათვის - მცირე გრანტების პროგრამა (აშშ დოლარებში)**[1]

| | |
|---|---|
| მცირე გრანტების პროგრამის საერთო საგრანტო ფონდი დაწყების თარიღიდან (2012) | **აშშ დოლარი** |
| მე-8 სამუშაო ფაზის GEF-ის ძირითადი საბიუჯეტო ფონდი | 456,818.18 აშშ დოლარი |
| მე-8 სამუშაო ფაზის ბიუჯეტი GEF STAR-დან (System for Transparent Allocation of Resources): | 120,600.00 აშშ დოლარი |
| სხვა ფონდები (მოძიებული) | **0 აშშ დოლარი** |
| სხვა ფონდები (მოსალოდნელი/მოსაძიებელი) | **0 აშშ დოლარი** |

## 1. შესავალი

მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზა (SGP OP8) ეფუძნება ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სათემო ორგანიზაციების გაძლიერების 30 წლიან წარმატებულ გამოცდილებას, სათემო ინიციატივათა დაგეგმვისა და შესრულების მიმართულებით, რამაც გააუმჯობესა შინამეურნეობათა კეთილდღეობა, აამაღლა ცნობიერება და მედეგობა გარემოსდაცვითი საფრთხეთა მიმართ და შექმნა გლობალური გარემოსდაცვითი სარგებელი. განვითარებად მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის გამძაფრებული წნეხისა და თანმდევი უთანასწორობის პირობებში, ადგილობრივი თემები, განსაკუთრებით კი, მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფები, უფრო და უფრო მარგინალიზდებიან - ვერ უმკლავდებიან ეკოსისტემის დეგრადირებასთან, ბიომრავალფეროვნების დაკარგვასა და კლიმატის ცვლილებასთან ასოცირებულ საფრთხეებს. მცირე გრანტების პროგრამის წინა ფაზებში მიღებული გამოცდილება აჩვენებს, რომ სახმელეთო-საზღვაო ლანდშაფტისადმი ინტეგრირებული მიდგომები ეფექტიანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობის სტიმულირებისათვის, სათემო და სამოქალაქო საზოგადოების დასაკავშირებლად სასარგებლო პარტნიორებთან, ასევე, იმის ფართო მასშტაბით მისაღწევად, რომ საარსებო წყაროების უზრუნველყოფა და გარემოსდაცვა არ იყოს ურთიერთდამაზიანებელი.

მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის მიზანია, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სათემო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ინფორმირება სახმელეთო-საზღვაო ლანდშაფტისადმი ახალ მიდგომებზე, მათი შესაძლებლობების გაუმჯობესება კეთებით სწავლებისა თუ უნარების განვითარების გზით, ასევე, იმ ინტერვენციების ტექნიკური თუ საგრანტო მხარდაჭერა, რაც აუმჯობესებს კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, თან ქმნის გლობალურ გარემოსდაცვით სარგებელს.

მე-8 სამუშაო ფაზის მიზნებში ასახულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მცირე გრანტების პროგრამა 2.0. კერძოდ, ახალი მიდგომები ახალგაზრდებისა და ქალების

---

[1] მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის რესურსები შეადგენს შემდეგი თანხების სავარაუდო ჯამს: (a) GEF8 ძირითადი გრანტი; (b) დამტკიცებული STAR რესურსები; ასევე, (c) ხარჯების განაწილების სხვა წყაროები&თანადაფინანსება (ქვეყანა, რეგიონული და/ან გლობალური დონეები). მცირე გრანტების პროგრამის ქვეყნები, რომელთაც მე-7 სამუშაო ფაზის შემდეგ ბალანსზე აქვთ ნაშთი, სავარაუდოდ, ამ თანხებს მე-8 სამუშაო ფაზის სტრატეგიული მიდგომის შესაბამისად გამოიყენებენ, მცირე გრანტების პროგრამის გეგმებისა და მოსალოდნელი შედეგების თანხვედრის უზრუნველსაყოფად.

დასახმარებლად, დამატებითი მექანიზმები - მიკროსაფინანსო ინიციატივები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოწვევების პროგრამა, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის სხვა სააგენტოებთან თანამშრომლობა და ფონდის სტრატეგიებით შექმნილ შესაძლებლობათა ქმედითი გამოყენება, მათ შორის, GEF-8 ინტეგრირებული პროგრამების მიწოდება. ამასთან, მე-8 სამუშაო ფაზა შექმნის შესაძლებლობებს ინოვაციების განვითარებისა და მასშტაბის ზრდისათვის, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის დაკავშირებისთვის, რათა სამოქალაქო საზოგადოებამ გამოსცადოს ახალი მიდგომები და გამოიყენოს დიალოგის პლატფორმები უფრო ძლიერი გავლენის მოსახდენად. მე-8 სამუშაო ფაზა თანხვედრაში იქნება გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიულ გეგმასთან (2022 – 2025) და წვლილს შეიტანს მის შესრულებაში.

## 2. პროგრამის შეჯამება: ძირითადი შედეგები და მიღწევები

მცირე გრანტების პროგრამის მე-7 სამუშაო ფაზის ფარგლებში დაფინანსებული 28 პროექტიდან, საერთო ჯამში, 960.984 აშშ დოლარი იქნა მოზიდული, თანადაფინანსების სახით, რაც ასევე მოიცავს სხვადასხვა საერთაშორისო დონორისაგან, კერძო სექტორისა და ადგილობრივი მთავრობებისგან მიღებულ 608.675 აშშ დოლარს. მე-5 და მე-6 სამუშაო ფაზებით ერთობლივად მოზიდულია 2.164.442 აშშ დოლარი, 1.166.620 აშშ დოლარის ოდენობის ფულად თანადაფინანსებასთან ერთად, სხვადასხვა საერთაშორისო დონორისაგან, კერძო სექტორისა და ადგილობრივი მთავრობებისგან.

მცირე გრანტების პროგრამის მე-7 ფაზის პროექტებმა საქართველოში მნიშვნელოვან გლობალურ გარემოსდაცვით სარგებელს მიაღწიეს, რითაც წვლილი შეიტანეს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მანდატის შესრულებაში. ყველაზე მეტი - 11 პროექტი (რაც, დაახლოებით, 39%-ია) ბიომრავალფეროვნების სფეროში შესრულდა, რამაც სრული საგრანტო დაფინანსების 35% შეადგინა. ამ პროექტების სამიზნე თემებია: (i) დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, თემის მზარდი მონაწილეობით, და (ii) ბიომრავალფეროვნებაზე მორგებული სათემო პრაქტიკის გაუმჯობესება, როგორიცაა საძოვრების მართვა, სატყეო მეურნეობა, ტურიზმი და ინფრასტრუქტურა. ერთ-ერთმა გამორჩეულმა პროექტმა აჩვენა მდგრადი მართვის კარგი მაგალითი ჭაჭუნის აღკვეთილის 500 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე - წარმოადგინა ბიზნესგეგმა, გააუმჯობესა ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურა და 10%-ით გაზარდა ტურისტების რაოდენობა. ამ პროექტის ფარგლებში, ეკოტურიზმის სერვისებით, გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებითა და შექმნილი სამუშაო ადგილებით ისარგებლა 35-მა ადგილობრივმა, ამავდროულად, გაუმჯობესდა მოსახლეობის უნარები მდგრადი ტურიზმისა და განვითარების მიმართულებით.

მეორე უდიდესი საკითხი, გამოყოფილი დაფინანსების მიხედვით, იყო კლიმატის ცვლილება (20%). მხარდაჭერილ პროექტთა მთავარი სამიზნეა: (i) დაბალნახშირბადიანი, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების (მზის ენერგია და ბიომასა) გამოყენება; (ii) კლიმატის ცვლილებისა და დაბალნახშირბადიანი ენერგოტექნოლოგიების შესახებ ცნობიერების ამაღლება. დამონტაჟდა მზის ენერგიის სისტემები, რითაც შერჩეულ ტერიტორიაზე 1000-მა ადამიანმა ისარგებლა. წარმატებულად დამონტაჟდა მზის ენერგოსადგურები საქართველოს ცენტრიდან დაშორებულ ადგილებში, მოწყვლად თემებს დაურიგდათ ენერგოეფექტური ღუმელები. პროექტს თანადაფინანსებით ძლიერი მხარდაჭერა გაუწიეს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა.

მიწის მდგრად მართვაზე გამიზნული პროექტით, თიანეთის მუნიციპალიტეტში 116 ფერმერმა გაიარა ტრენინგი მდგრადი მეხილეობისა და ბიზნესწინადადების მომზადების საკითხებზე, რითაც გაუმჯობესდა მათი უნარები ინტენსიური ხეხილის ბაღებისა და ბიომეთოდების გამოყენებაზე. საჩვენებელი პროექტები წარმოადგინა თვრამეტმა ადგილობრივმა ფერმერმა, რომელთა ფარგლებშიც შეიქმნა ხუთი სათბური, ექვსი ვერმიკომპოსტის ფერმა და სარწყავი სისტემით აღჭურვილი ოთხი ახალი ხეხილის ბაღი. წინასწარი ვარაუდით, ვერმიკომპოსტის ფერმებმა, დაახლოებით, 3-4 ტონა ბიოსასუქი უნდა აწარმოონ, რაც პოტენციურად მოსავლიანობას 30-40%-ით გაზრდის. ეს კი ფერმერის შემოსავლის 1.300-5.000 ლარით მატებაში აისახება. პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნა კომპოსტირების სამი ობიექტი ფერმებში და ათი - საჯარო სკოლებში, სადაც გროვდება 300 მ³ მწვანე ნარჩენები და იწარმოება 0.9 ტონა კომპოსტი. იმერეთის რეგიონში სესიებს დაესწრო 115 მონაწილე, რითაც კომპოსტირების შესახებ ცოდნა გაიუმჯობესეს ფერმერებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა. სემინარებმა და საინფორმაციო შეხვედრებმა 606 ადამიანს აუმაღლა გარემოსდაცვითი ცნობიერება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალებსა და ახალგაზრდებს. წალკაში, მცირე გრანტების პროგრამის ინიციატივებით, პროექტმა მიაღწია დაახლოებით ერთი ჰექტარი მიწის რეგენერაციას, შეამცირა ნიადაგის დეგრადაცია და ხელი შეუწყო კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დამკვიდრებას, რითაც ისარგებლა, დაახლოებით, ათასმა ფერმერმა, გაუმჯობესდა სურსათის ადგილობრივად წარმოება და მდგრადობა.

რიგი პროექტები შერჩეული არეალის მიღმა დაფინანსდა, ძირითადად, ადგილობრივ თემსა და ხელისუფლებას შორის დიალოგის პლატფორმის შესაქმნელად. წარმატებულმა პროექტებმა გააუმჯობესეს შესაძლებლობები, რითაც მხარი დაუჭირეს თემზე დაფუძნებულ, სოციალური თვალსაზრისით ინკლუზიურ და ინტეგრირებულ გადაწყვეტილებათა მიღებას ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ეკოსისტემის მომსახურებათა სფეროში, რუსთავში, თბილისსა და ჭიათურაში.

დაფინანსებულ პროექტთა 46%-ს ქალები ხელმძღვანელობდნენ, ხოლო რვა პროექტი ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართვას, რაც ხელს უწყობდა ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერებას, ასევე, მცირე სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაუმჯობესებას.

## 3. ქვეყნის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები

### 3.1 კავშირი ეროვნულ პრიორიტეტებთან

საქართველოს რატიფიცირებული აქვს სამივე „რიოს კონვენცია“ და სხვა შესაბამისი შეთანხმებები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის სტრატეგიულ პრიორიტეტებს (იხ. ცხრილი #1.)

ცხრილი #1. საყურადღებო კონვენციები და ეროვნული/რეგიონული გეგმები ან პროგრამები

| კონვენციები და ეროვნული სტრატეგიული გეგმები | **რატიფიკაციის / დასრულების თარიღი** |
|---|---|

| | |
|---|---|
| ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია (CBD) | 1994 |
| გლობალური ბიომრავალფეროვნების ჩარჩო (GBF) | 2022 |
| ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (NBSAP) | 2014-2020 |
| ნაგოიას ოქმი გენეტიკურ რესურსებთან ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილების შესახებ (ABS) | ოქტომბერი, 2014 |
| გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC) | ნოემბერი 3, 1994. |
| UNFCCC-ის ეროვნული შეტყობინებები | პირველი ეროვნული შეტყობინება 1999<br>მეორე ეროვნული შეტყობინება 2009<br>მესამე ეროვნული შეტყობინება 2016<br>მეოთხე ეროვნული შეტყობინება 2021 |
| UNFCCC-ის ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედებები (NAMA) | თებერვალი 2010 |
| UNFCCC-ის ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NAPA) | მაისი, 2009 |
| ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილები (NDCs) პარიზის შეთანხმებისთვის | 2017, 2021, 2026 |
| გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD) | თებერვალი 1, 1999. |
| UNCCD-ის ეროვნული სამოქმედო პროგრამები (NAP) | დეკემბერი, 2014 |
| სტოკჰოლმის კონვენცია (SC) მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (POPs) შესახებ | იანვარი, 2007 |
| სტოკჰოლმის კონვენციის (SC) ეროვნულ დონეზე განხორციელების გეგმა (NIP) | აპრილი, 2011 |
| ვერცხლისწყლის შესახებ (MC) მინიმატას კონვეცია | ოქტომბერი, 2018 |
| UN 2030 მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) | 2015 |
| ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა (VNRs) მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად | 2016, 2020 |
| სტრატეგიული სამოქმედო პროგრამები (SAPs) საერთო საერთაშორისო წყლის ობიექტებისთვის (IW) - საქართველო შავი ზღვის გარემოს დაცვისა და რეაბილიტაციის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ნაწილია. | მიღებულია 1996 წელს და განახლებულია 2009 წელს |
| კავკასიის ეკო რეგიონული გეგმა | 2000 |
| ორჰუსის კონვენცია | მარტი, 2002 |
| GEF-ის ეროვნული შესაძლებლობების თვითშეფასება (NCSA) | 2002 |
| ბერნის კონვენცია | მაისი, 2009 |
| ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა (NEAP, 2012-2016) | 2012 |
| საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ | 2020 |
| სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოსთვის“ | დეკემბერი, 2015 |
| საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015-2020) | 2015 |
| ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია | 2016 |

### 3.2 ხარვეზები და შესაძლებლობები

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა უმნიშვნელოვანესია რიოს კონვენციებისა და შესაბამისი ეროვნული გეგმების ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე წარმატებით განსახორციელებლად. 2014-2020 წწ. ბიომრავალფეროვნების ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, ასევე, სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში განსაზღვრულ ქმედებათა შესრულება პირდაპირ დამოკიდებულია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივ თემთა აქტიურ ჩართულობაზე. მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელობას ათვითცნობიერებენ საზოგადოების ყველა სეგმენტში, მათ შორის, ადგილობრივი თუ ცენტრალური მმართველობის პასუხისმგებელი პირები.

თუმცა გადაწყვეტილებათა მიღებასა და მართვაში საზოგადოების ჩართულობა და, განსაკუთრებით, ადგილობრივ თემთა ინტერესი ამ საკითხების მიმართ ჯერ კიდევ დაბალია. ეს გამორჩეულად ეხებათ მოწყვლად ჯგუფებს, კერძოდ, ქალებს, რომელთა წარმომადგენლობა უმნიშვნელოა. არსებითია ამგვარი ჯგუფების გაძლიერება, უფრო ინკლუზიური და ქმედითი გარემოსდაცვითი მოძრაობების შესაქმნელად.

ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, უნდა მომზადდეს ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი კამპანიები, თემების შესაძლებლობათა გაძლიერების ღონისძიებები და წამახალისებელი პროგრამები, რაც გაზრდის მონაწილეობის მოტივაციას. მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თემებს შორის პარტნიორობის გაძლიერება მონაწილეობითი მონიტორინგისა და შეფასების გზით, ხელს შეუწყობს ეროვნული გარემოსდაცვითი პრიორიტეტების ქმედით განხორციელებას ქვემოდან ზემოთ.

## 3.3 მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის სტრატეგიული პრიორიტეტები

ცხრილი #2. მცირე გრანტების პროგრამის შესაბამისობა მე-8 სამუშაო ფაზის სტრატეგიულ ინიციატივებსა და ქვეყნის პრიორიტეტებთან/პროექტებთან/პროგრამებთან

| მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის სტრატეგიული ინიციატივები - გლობალურად | მცირე გრანტების საქვეყნო პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის პრიორიტეტები | მცირე გრანტების საქვეყნო პროგრამის შესაბამისობა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის, UNDP-ისა და სხვა პროექტებსა თუ პროგრამებთან |
|---|---|---|
| **საფრთხის წინაშე მყოფი ეკოსისტემებისა და სახეობების თემზე დაფუძნებული კონსერვაცია**<br><br>1. ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის კონსერვაციის, ასევე, მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, | • დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება თემის გაზრდილი თანამონაწილეობით | • ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში / გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და |

| | | |
|---|---|---|
| მმართველობის თანასწორი სისტემების მეშვეობით, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებათა აღიარებითა და დაცვით<br>2. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშემწყობი თემის მიერ მართული პრაქტიკისა და მიდგომების გაუმჯობესება, მათ შორის, ლურჯი ეკონომიკის წახალისება (მაგ., სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ა.შ.)<br>3. სათემო საქმიანობის გაძლიერება საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დასაცავად | • ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშემწყობი თემის მიერ მართული პრაქტიკისა და მიდგომების გაუმჯობესება, მათ შორის, ლურჯი ეკონომიკის წახალისება (მაგ., სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ა.შ.)<br>• სათემო საქმიანობის გაძლიერება საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დასაცავად | განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ) / გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)<br>• გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო /SIDA<br>• არაგვის დაცულ ლანდშაფტში მდგრადი ტყის მართვის დანერგვა - CzDA/ ADA 2021-2025<br>• ტყის კლიმატმეგობრული მართვის მხარდაჭერა საქართველოში - GIZ/ GCF /SDC 2021-2028<br>• დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში – CNF / UNDP/GEF |
| ***მდგრადი სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და სურსათის უსაფრთხოება***<br>1. სურსათის წარმოებისა და ღირებულებათა ჯაჭვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, მოწყვლად ეკოსისტემებში (მთები, და სხვა ეკოსისტემები და ა.შ.)<br>2. დივერსიფიკაციის ზრდა და საარსებო წყაროების მრავალფეროვნების გაუმჯობესება<br>3. გაუტყეურების გამომწვევი კომპონენტების ამოღება მომარაგების ჯაჭვიდან და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენის გაფართოება | • დივერსიფიკაციის ზრდა და საარსებო წყაროების მრავალფეროვნების გაუმჯობესება<br>• გაუტყეურების გამომწვევი კომპონენტების ამოღება მომარაგების ჯაჭვიდან და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენის გაფართოება | • სასოფლო-სამეურნეო ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დაუცველ ეკოსისტემებსა და სოფლის თემებში - RECC / გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) 2023-2026<br>• სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარება იმერეთსა და კახეთში – EU4 Business 2022-2025<br>• ENPARD-4: სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში – UNDP 2021-2025<br>• სოფლის ინკლუზიური განვითარება და მდგრადი |

| | | |
|---|---|---|
| | | სოფლის მეურნეობა – FAO/ADC 2023-2027<br>• მდგრადი და ინკლუზიური სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა საქართველოში – ევროკომისია 2024-2030 |
| **დაბალნახშირბადიან ენერგიაზე ხელმისაწვდომობა და მასთან დაკავშირებული თანმხლები სარგებელი**<br><br>პარიზის შეთანხმებისა და ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების (NDC) განხორციელების ხელშეწყობა.<br><br>1. განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ხელშეწყობა, რაც მოიტანს სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელსა და გააუმჯობესებს საარსებო წყაროებს<br>2. არაქსელური ენერგიის წყაროების ხელშეწყობა სასოფლო და ურბანულ ტერიტორიებზე | • განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ხელშეწყობა, რაც მოიტანს სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელსა და გააუმჯობესებს საარსებო წყაროებს<br>• არაქსელური ენერგიის წყაროების ხელშეწყობა სასოფლო და ურბანულ ტერიტორიებზე | • გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მიმართ საქართველოს V ეროვნული შეტყობინებისა და გამჭვირვალობის I ორწლიური ანგარიშის შემუშავება – UNDP /GEF 2022-2025<br>• მრავალმხრივ საფრთხეებზე რეაგირების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატის შესახებ ინფორმაციის გამოყენება საქართველოში – UNDP / GCF 2018-2025<br>• კლიმატური რისკების მიმართ თემების მედეგობის გაუმჯობესება - UNDP/SDC - 2020-2025<br>• ევროკავშირი ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკისთვის – 2022-2025<br>• საქართველოს კლიმატის პროექტი (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში 2021-2025<br>• გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის მხარდაჭერა საქართველოში 2022-2025<br>• თემზე დაფუძნებული კლიმატგონივრული პროგრამების გაძლიერება საქართველოში (SCBCS) - 2023-2026 |

| | | |
|---|---|---|
| | | • კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი, ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკის უზრუნველყოფის სტრატეგიები – GIZ<br>• მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი ენერგიის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში – CENN / ADA 2022-2027 |
| ***მდგრადი ურბანული გადაწყვეტილებების სტიმულირება***<br>1. დაბალი ემისიისა და სტაბილური ურბანული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებლობათა გაუმჯობესება თემზე მორგებული, სოციალურად ინკლუზიური და ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მისაღებად<br>2. ინოვაციური და სოციალურად ინკლუზიური, ურბანული გადაწყვეტილებების/ მიდგომების წარმოჩენა (ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ენერგიის, ტრანსპორტის, წყალგამყოფების დაცვის, ეკოსისტემური სერვისებისა და ბიომრავალფეროვნების ჩათვლით)<br>3. საჯარო/კერძო სექტორების თანამშრომლობის ხელშეწყობა მარგინალიზებული, ურბანული თემებისთვის (დასახლებებისთვის) დაბალნახშირბადიანი ენერგიის ხელმისაწვდომობისთვის | • დაბალი ემისიისა და სტაბილური ურბანული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებლობათა გაუმჯობესება თემზე მორგებული, სოციალურად ინკლუზიური და ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მისაღებად<br>• ინოვაციური და სოციალურად ინკლუზიური, ურბანული გადაწყვეტილებების/ მიდგომების წარმოჩენა (ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ენერგიის, ტრანსპორტის, წყალგამყოფების დაცვის, ეკოსისტემური სერვისებისა და ბიომრავალფეროვნების ჩათვლით)<br>• საჯარო/კერძო სექტორების თანამშრომლობის ხელშეწყობა მარგინალიზებული, ურბანული თემებისთვის (დასახლებებისთვის) დაბალნახშირბადიანი ენერგიის ხელმისაწვდომობისთვის | • წყალმომარაგება და სანაცია აჭარის სოფლის და ნახევრად ურბანულ თემებში / KFW - 2018-2027<br>• წრიული ეკონომიკის მქონე ქალაქები და რეგიონები საქართველოში: ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების პრევენციისა და წრიული ეკონომიკის წინსვლისთვის საქართველოს რეგიონებში – CENN 2024-2028<br>• სამხრეთ კავკასიის წყლის მართვის რეგიონული პროგრამა - Deloitte 2024-2028<br>• ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის 2023-2025<br>• ქუთაისის ჩამდინარე წყლების პროექტის (KWWP) საინვესტიციო მხარდაჭერა - ევროპის საინვესტიციო ბანკი - 2016-2025<br>• საქართველოს სახიფათო ნარჩენები EBRD -2018-2025 |

| | | |
|---|---|---|
| **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების-მთავრობის-კერძო სექტორის დიალოგის პლატფორმები პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვისათვის**<br>1. საზოგადოების აზრის გათვალისწინების ხელშეწყობა და მონაწილეობის გაუმჯობესება გლობალურ და ეროვნულ პოლიტიკაში, გლობალური გარემოსდაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხების სტრატეგიულ დაგეგმვაში | საზოგადოების აზრის გათვალისწინების ხელშეწყობა და მონაწილეობის გაუმჯობესება გლობალურ და ეროვნულ პოლიტიკაში, გლობალური გარემოსდაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხების სტრატეგიულ დაგეგმვაში | • ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში - 2024-2025<br>• თემზე დაფუძნებული კლიმატგონივრული პროგრამირების გაძლიერება საქართველოში (SCBCS) 2023-2026<br>• დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე – UNDP/დანიის მთავრობა 2018-2024 |
| ***სოციალური ინკლუზიის გაძლიერება***<br>1. დასახული ინკლუზიური ინიციატივების ხელშეწყობა<br>2. სოციალური ინკლუზიის ჩართვა ყველა პროექტში (მაგ., ქალები/გოგონები, ახალგაზრდები და შშმ პირები) | ***სოციალური ინკლუზიის გაძლიერება***<br>1. დასახული ინკლუზიური ინიციატივების ხელშეწყობა<br>2. სოციალური ინკლუზიის ჩართვა ყველა პროექტში | • კეთილდღეობის კომპეტენციის ხელშეწყობა ახალგაზრდულ მუშაობაში /ევროპის კომისია 2024-2025<br>• ახალგაზრდების ხმები უკეთესი მომავლისთვის – ADA 2023-2025<br>• ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის დანერგვის დაჩქარება საქართველოში (II ფაზა) – UNDP -2024-2025<br>• სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებული ადვოკატირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ვალდებულებათა შესრულებისთვის საქართველოში 2022-2025 წლებში<br>• EU4Youth-ის მესამე ფაზა - ახალგაზრდების დასაქმება და მეწარმეობა – 2021-2025 |

| | | |
|---|---|---|
| ***ცოდნის მართვა (KM)***<br>1. განხორციელებული პროექტებიდან და აქტივობებიდან ცოდნისა და გამოცდილების მიღება<br><br>2. სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაუმჯობესება<br><br>3. სამხრეთი-სამხრეთის თანამშრომლობა ტექნოლოგიების გაცვლის ხელშეწყობისა და საუკეთესო პრაქტიკის გადმოსაღებად | ***ცოდნის მართვა***<br>1. განხორციელებული პროექტებიდან და აქტივობებიდან ცოდნისა და გამოცდილების მიღება<br>2. სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაუმჯობესება<br><br>3. სამხრეთი-სამხრეთის თანამშრომლობა ტექნოლოგიების გაცვლის ხელშეწყობისა და საუკეთესო პრაქტიკის გადმოსაღებად | • სამრეწველო უნარების განვითარების პროგრამა (ILSD) 2023-2025<br>• მწვანე უნარების განვითარების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის (PROGRESS) – 2024-2025<br>• ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში 2024-2025 წწ. |
| ***შედეგების მართვა, მონიტორინგი & შეფასება (M&E)***<br>1. მონიტორინგისა და შეფასების ახალი სტრატეგიის ამოქმედება ქვეყანაზე მიმართული პროგრამისა და პროექტის დიზაინის, ასევე, განხორციელებისა და საერთო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მონაწილეობითი მექანიზმების გამოყენებით | ***შედეგების მართვა, მონიტორინგი & შეფასება (M&E)***<br>*1)* მონიტორინგისა და შეფასების ახალი სტრატეგიის ამოქმედება ქვეყანაზე მიმართული პროგრამისა და პროექტის დიზაინის, ასევე, განხორციელებისა და საერთო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მონაწილეობითი მექანიზმების გამოყენებით | |

# 4. მე-8 სამუშაო ფაზის პრიორიტეტული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები & სტრატეგიული ინიციატივები

## 4.1 გრანტების გაცემა პრიორიტეტულ სახმელეთო და საზღვაო ლანდშაფტებზე

### ა) პრიორიტეტული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტების შერჩევის პროცესი

მცირე გრანტების პროგრამის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში მე-8 სამუშაო ფაზის პრიორიტეტული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები, რომელთათვისაც გაიცემა გრანტების უმეტესობა, იგივე რჩება, რაც მე-7 ფაზისთვის შეირჩა. ეს გადაწყვეტილება, უპირველესად, განპირობებულია იმით, რომ არც ეროვნული პრიორიტეტები შეცვლილა დიდწილად ქვეყნის სხვადასხვა რეგიონისთვის და არც კრიტერიუმები, რითაც მე-7 ფაზის პრიორიტეტული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები შეირჩა.

სამიზნე სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების ინტენსიური და ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, არაერთი შეხვედრისა თუ დისკუსიის კვალად, რომელსაც ესწრებოდნენ:

(i) მცირე გრანტების პროგრამის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრები,

(ii) რიოს კონვენციაზე პასუხისმგებელი პირები,

(iii) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ამჟამად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი

(iv) შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები, და

(v) მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების კოორდინატორი.

სამიზნე ლანდშაფტების შერჩევისას იხელმძღვანელეს შემდეგი კრიტერიუმებით, რომლებიც მოგვიანებით ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის პროექტის გუნდმა გამოიყენა შეთავაზებული ტერიტორიების სიის დასასრულებლად:

- ტერიტორიის გარემოსდაცვითი მახასიათებლები: კონსერვაციული ღირებულება, მოწყვლადობა და არსებული გამოწვევები.
- სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები: ეკოსისტემური სერვისები და ამ სერვისებზე ადგილობრივი თემის დამოკიდებულების ხარისხი.
- ეროვნული პრიორიტეტები: შესაბამისობა საქართველოს გარემოსდაცვით და განვითარების ეროვნულ მიზნებთან.
- დაფინანსების პოტენციალი და დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობები: მცირე საგრანტო პროექტის ინიციატივათა წარმატებით შესრულების მხარდასაჭერად, თანადაფინანსების შესაძლებლობებისა და ქმედითი დაინტერესებული მხარეების არსებობა, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოება ან სათემო ორგანიზაციები.

### ბ) მე-8 სამუშაო ფაზისთვის შერჩეული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესა და ეროვნულ სამეთვალყურეო საბჭოსთან კონსულტაციების შედეგად, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე, მე-8 სამუშაო ფაზისთვის შეირჩა მე-7 სამუშაო ფაზისთვის გამოყოფილი ლანდშაფტების იდენტური ტერიტორიები, რადგან არ შეცვლილა ეროვნული პრიორიტეტები და გარემოსდაცვითი გამოწვევები.

**შერჩეული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები**

1. **მაღალი მთის ზონა (ზღვის დონიდან 1,200 მეტრზე მაღლა)**
    - **დიდი კავკასიონის მაღალმთა**
    - **მცირე კავკასიონის მაღალმთა**
2. **შავი ზღვის სანაპირო** (ზღვის დონიდან 100 მეტრამდე) და ზღვის აკვატორიის 10 კილომეტრამდე ზოლი.

3. **საქართველოს სემიარიდული ზონა**

აღნიშნული ტერიტორიები კლიმატის ცვლილების მიმართ კვლავ ყველაზე მოწყვლად ზონებად ითვლება საქართველოში, სადაც მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ რჩება საკვანძო სექტორები - სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები და ბიომრავალფეროვნება. შერჩეული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები განისაზღვრა კლიმატის ცვლილების მიმართ მათი მოწყვლადობისა და ადაპტაციის საჭიროების მიხედვით.

მცირე გრანტების პროგრამა 2013 წლიდან აქტიურად დებს ინვესტიციებს ამ ტერიტორიებზე. მე-8 სამუშაო ფაზისთვის იმავე ტერიტორიების დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია შემდეგი მოსაზრებებით:

- **უცვლელი ეროვნული პრიორიტეტები**: ამ რეგიონებში, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან, კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ეროვნული პრიორიტეტები, დიდწილად, არ შეცვლილა მე-6 ფაზის შემდეგ.
- **გარემოსდაცვითი მნიშვნელობა**: ამ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტების ბიომრავალფეროვნება, კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობა და სხვა გარემოსდაცვითი ფაქტორები კრიტიკული რჩება.
- **კუმულაციური ეფექტი**: იმავე ტერიტორიაზე საქმიანობის გაგრძელება მეტ კუმულაციურ ეფექტს მოგვცემს. მე-6 და მე-7 სამუშაო ფაზების მიღწევებზე დაყრდნობით, შესაძლებელია უფრო ღრმა და მდგრადი ჩარევა.
- **შესაძლებლობათა გაუმჯობესება**: ამავე ტერიტორიებზე საქმიანობის გაგრძელება შემდგომი ზრდის დამატებით შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თემებს, რათა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საკუთარი რეგიონების მდგრად განვითარებაში.

სამიზნე ლანდშაფტების საზღვრები დადგინდა გეოგრაფიული და ეკოლოგიური გამყოფების ან, სადაც უფრო მიზანშეწონილი იყო, მუნიციპალიტეტების საზღვრების მიხედვით.




**სურ. 1.** მე-8 ფაზის პრიორიტეტული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები

**სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტების კოორდინატები**

- **დიდი კავკასიონის მაღალმთა**: განედი 42.5° N, გრძედი 44.5° E
- **მცირე კავკასიონის მაღალმთა**: განედი 41.6° N, გრძედი 43.3° E
- **შავი ზღვის სანაპირო ზოლი**: განედი 42.0° N, გრძედი 41.7° E
- **სემიარიდული ზონა**: განედი 41.8° N, გრძედი 44.7° E

**სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტების მთლიანი ფართობი ჰექტრებში**

- **დიდი კავკასიონის მაღალმთა**: 2.600.000 ჰექტარი
- **მცირე კავკასიონის მაღალმთა**: 1.500.000 ჰექტარი
- **შავი ზღვის სანაპირო ზოლი**: 300.000 ჰექტარი (მიწა და საზღვაო წყლები ნაპირიდან 10 კილომეტრამდე)
- **სემიარიდული ზონა**: 800.000 ჰექტარი

**სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტების ტიპოლოგია**

- **დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთიანი ტერიტორიები:** ეს არის მთიანი ლანდშაფტები სიმაღლით, ალპური ეკოსისტემებითა და უნიკალური ბიომრავალფეროვნებით. აქ არის ასევე ბევრი მნიშვნელოვანი მდინარის სათავე, რომლებიც წყლით ამარაგებენ მიმდებარე რეგიონებს.
- **შავი ზღვის სანაპირო ზოლი და საზღვაო წყლები**: სანაპირო დაბლობები და საზღვაო ეკოსისტემები, მათ შორის, ქვიშიანი სანაპიროები, ჭაობები და საზღვაო წყლები, რომლებიც ნაპირიდან 10 კილომეტრამდე ვრცელდება. ეს ტერიტორია მოიცავს მნიშვნელოვან ჰაბიტატებს: წყალმცენარეების გავრცელებისა და თევზის ქვირითობის ადგილებს.
- **სემიარიდული ზონა**: მშრალი, დაბლობი ლანდშაფტი, რომელიც ხასიათდება მწირი მცენარეულობითა და შეზღუდული წყლის რესურსებით. ეს ტერიტორია ძალზედ მოწყვლადია გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის მიმართ.

შერჩეული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტების საბაზისო შეფასება ეფუძნება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებსა და ექსპერტულ ანალიზს, რაც მოიცავს შემდეგს:

- **ლიტერატურის მიმოხილვა**: ექსპერტებმა განიხილეს თითოეულ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ეროვნული ანგარიშები და პროექტის დოკუმენტები. დაიფარა ყველა საკვანძო საკითხი, როგორიცაა: გეოგრაფია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ნარჩენებისა და წყლის მართვა, კლიმატის ცვლილების ზემოქმედება.
- **კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან**: გაიმართა შეხვედრები და დისკუსიები დაინტერესებულ მხარეებთან. მათ შორის იყვნენ ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მთავრობის წარმომადგენლები, პროექტის კოორდინატორები. ამ კონსულტაციების შედეგად, პროცესში ჩაერთნენ შიდა დაინტერესებული მხარეები (სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტის შიგნით) და ამ ტერიტორიებზე გავლენის მქონე გარე აქტორები.
- **მონაცემთა გაერთიანება:** ლიტერატურის მიმოხილვისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისას შეგროვებული ინფორმაცია თავმოყრილია საბაზისო შეფასებაში და საფუძვლად უდევს მე-8 სამუშაო ფაზის დაგეგმვას.

ადგილობრივი სათემო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა (CSOs, CBOs) ჩართულობის შედეგად, მე-8 სამუშაო ფაზის გეგმაში აისახა როგორც ეროვნული პრიორიტეტები, ისე ამ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებზე მცხოვრები და მათზე დამოკიდებული თემების საჭიროებები.

შერჩეული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტების უწყვეტი აქტუალურობა და მეტი კუმულაციური ეფექტის მიღების შესაძლებლობა ქმნის მე-8 სამუშაო ფაზაში იმავე ტერიტორიების დატოვების მყარ საფუძველს. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებმა, ექსპერტულ ანალიზთან

ერთად, განაპირობა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობაც და შესაბამისობაც ეროვნულ თუ გლობალურ გარემოსდაცვით მიზნებთან.

### *გ) მე-8 სამუშაო ფაზის სტრატეგიული ინიციატივები სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებზე*

სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტზე განხორციელებულ ინიციატივათა ერთიანობისათვის, გადაიდგმება შემდეგი სტრატეგიული ნაბიჯები:

ინტეგრირებული პროექტების შერჩევა: საპროექტო წინადადებები განიხილება მოცემული ლანდშაფტის კონტექსტში. დაფინანსებისათვის პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს მკაფიოდ მრავალმხრივი/ინტეგრირებული მიდგომებით ან პოტენციალით, შეავსოს არსებული ან დაგეგმილი ინიციატივები.

პროექტებს შორის კოორდინაცია: პროექტების დაფინანსების შემდეგ, სასურველია, გრანტიორებმა ერთმანეთთან შეათანხმონ მოქმედებები, ხოლო თუ შესაძლებელია, იმოქმედონ ერთობლივად, რათა შეძლონ მაქსიმალური ზემოქმედება ლანდშაფტის დონეზე. ამგვარი კოორდინაცია უზრუნველყოფს, რომ ცალკეულმა პროექტებმა ერთობლივად შეიტანონ წვლილი სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებზე ყოვლისმომცველი და კუმულაციური გავლენის მოხდენაში.

მხარდაჭერა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე: მე-8 სამუშაო ფაზა, ძირითადად, ფოკუსირებული იქნება თემზე მორგებულ და ადგილობრივად განხორციელებულ ინიციატივებზე, შერჩეულ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებზე. თუმცა მხარდაჭერა ექნება ასევე უფრო ფართო სტრატეგიულ ინიციატივებსაც ეროვნულ თუ რეგიონულ დონეზე. ამ ინიციატივათა მიზანი იქნება მცირე საგრანტო პროგრამის ადგილობრივ პროექტთა შევსება და გაძლიერება, დახმარება უფრო ერთიანი და გავლენიანი მიდგომის შემუშავებაში სხვადასხვა დონეზე.

მაქსიმალური გავლენის მიღწევა: ადგილობრივი და უფრო ფართომასშტაბიანი ინიციატივების მხარდაჭერით, მე-8 სამუშაო ფაზა ესწრაფვის, გააძლიეროს თანამშრომლობა სხვადასხვა სექტორსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. ამგვარი მრავალწერტილოვანი მიდგომა უზრუნველყოფს მეტად მდგრად და მედეგ რეაგირებას გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებზე, შერჩეულ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებზე.

საქართველოში მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზა მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებს:

**საფრთხის წინაშე მყოფი ეკოსისტემებისა და სახეობების თემზე დაფუძნებული კონსერვაცია**

1) ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების კონსერვაციისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, მმართველობის თანასწორი სისტემების მეშვეობით, ადგილობრივი თემების უფლებების აღიარებითა და დაცვით.
2) ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშემწყობი თემის მიერ მართული პრაქტიკისა და მიდგომების გაუმჯობესება, მათ შორის, ლურჯი ეკონომიკის წახალისება (მაგ., სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და სხვა).

3) სათემო საქმიანობის გაძლიერება საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დასაცავად.

**მდგრადი სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და სურსათის უსაფრთხოება:**

1) სურსათის წარმოებისა და ღირებულებათა ჯაჭვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, მოწყვლად ეკოსისტემებში
2) დივერსიფიკაციის ზრდა და საარსებო წყაროების გაუმჯობესება.
3) გაუტყეურების გამომწვევი კომპონენტების ამოღება მომარაგების ჯაჭვიდან და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენის გაფართოება.

**დაბალნახშირბადიან ენერგიაზე ხელმისაწვდომობა და მასთან დაკავშირებული თანმხლები სარგებელი**

1) განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ხელშეწყობა, რაც მოიტანს სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელსა და გააუმჯობესებს არსებობის წყაროებს.
2) არაქსელური ენერგიის წყაროების ხელშეწყობა სასოფლო და ურბანულ ტერიტორიებზე.

**მდგრადი ურბანული გადაწყვეტილებების სტიმულირება**

1) დაბალი ემისიისა და სტაბილური ურბანული განვითარების მიზნით, შესაძლებლობათა გაუმჯობესება თემზე მორგებული, სოციალურად ინკლუზიური და ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.
2) ინოვაციური და სოციალურად ინკლუზიური, ურბანული გადაწყვეტილებების/მიდგომების წარმოჩენა (ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ენერგიის, ტრანსპორტის, წყალგამყოფების დაცვის, ეკოსისტემური სერვისებისა და ბიომრავალფეროვნების ჩათვლით).

**ქვემოთ, მე-3 ცხრილში, აღწერილია მე-8 სამუშაო ფაზის პრიორიტეტული სტრატეგიული ინიციატივები თითოეული შერჩეული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტისთვის.**

ცხრილი #3

| **სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები** | **ქვეყნის მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის პრიორიტეტები** |
|---|---|
| დიდი კავკასიონი (>1200 მ.ზღვის დონიდან) | • ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების კონსერვაციისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, მმართველობის თანასწორი სისტემების მეშვეობით, ადგილობრივი თემების უფლებების აღიარებითა და დაცვით. |

| სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები | ქვეყნის მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის პრიორიტეტები |
|---|---|
| | • ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშემწყობი თემის მიერ მართული პრაქტიკისა და მიდგომების გაუმჯობესება, მათ შორის, ლურჯი ეკონომიკის წახალისება (მაგ., სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ა.შ.).<br>• სათემო საქმიანობის გაძლიერება საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დასაცავად.<br>• სურსათის წარმოებისა და ღირებულებათა ჯაჭვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, დაუცველ ეკოსისტემებში (მთები, და სხვა ეკოსისტემები და სხვა).<br>• დივერსიფიკაციის ზრდა და საარსებო წყაროების გაუმჯობესება.<br>• გაუტყეურების გამომწვევი კომპონენტების ამოღება მომარაგების ჯაჭვიდან და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენის გაფართოება.<br>• განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ხელშეწყობა, რაც მოიტანს სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელსა და გააუმჯობესებს საარსებო წყაროებს.<br>• არაქსელური ენერგიის წყაროების ხელშეწყობა სასოფლო და ურბანულ ტერიტორიებზე.<br>• დაბალი ემისიისა და სტაბილური ურბანული განვითარების მიზნით, შესაძლებლობათა გაუმჯობესება თემზე მორგებული, სოციალურად ინკლუზიური და ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.<br>• ინოვაციური და სოციალურად ინკლუზიური ურბანული გადაწყვეტილებების/მიდგომების წარმოჩენა (ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ენერგიის, ტრანსპორტის, წყალგამყოფების დაცვის, ეკოსისტემური სერვისებისა და ბიომრავალფეროვნების ჩათვლით). |
| მცირე კავკასიონის მთები (>1,200 მ ზღვის სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები) | • ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების კონსერვაციისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, მმართველობის თანასწორი სისტემების მეშვეობით, ადგილობრივი თემების უფლებების აღიარებითა და პატივისცემით.<br>• ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშემწყობი თემის მიერ მართული პრაქტიკისა და მიდგომების გაუმჯობესება, მათ შორის, ლურჯი ეკონომიკის წახალისება (მაგ., სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ა.შ.).<br>• სათემო საქმიანობის გაძლიერება საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დასაცავად.<br>• სურსათის წარმოებისა და ღირებულებათა ჯაჭვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, დაუცველ ეკოსისტემებში (მთები, და სხვა ეკოსისტემები და ა.შ.).<br>• დივერსიფიკაციის ზრდა და საარსებო წყაროების გაუმჯობესება.<br>• გაუტყეურების გამომწვევი კომპონენტების ამოღება მომარაგების ჯაჭვიდან და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენის გაფართოება.<br>• განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ხელშეწყობა, რაც მოიტანს სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელსა და გააუმჯობესებს საარსებო წყაროებს.<br>• არაქსელური ენერგიის წყაროების ხელშეწყობა სასოფლო და ურბანულ ტერიტორიებზე. |

| სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები | ქვეყნის მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის პრიორიტეტები |
|---|---|
| | • დაბალი ემისიისა და სტაბილური ურბანული განვითარების მიზნით, შესაძლებლობათა გაუმჯობესება თემზე მორგებული, სოციალურად ინკლუზიური და ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.<br>• ინოვაციური და სოციალურად ინკლუზიური ურბანული გადაწყვეტილებების/მიდგომების წარმოჩენა (ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ენერგიის, ტრანსპორტის, წყალგამყოფების დაცვის, ეკოსისტემური სერვისებისა და ბიომრავალფეროვნების ჩათვლით). |
| შავი ზღვის სანაპირო (<100 მ ზღვის დონიდან) და ნაპირიდან 10 კმ საზღვაო ზონა | • ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების კონსერვაციისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, მმართველობის თანასწორი სისტემების მეშვეობით, ადგილობრივი თემების უფლებების აღიარებითა და პატივისცემით.<br>• ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშემწყობი თემის მიერ მართული პრაქტიკისა და მიდგომების გაუმჯობესება, მათ შორის, ლურჯი ეკონომიკის წახალისება (მაგ., სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ა.შ.).<br>• სათემო საქმიანობის გაძლიერება საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დასაცავად.<br>• სურსათის წარმოებისა და ღირებულებათა ჯაჭვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, დაუცველ ეკოსისტემებში (მთები, და სხვა ეკოსისტემები და ა.შ.).<br>• დივერსიფიკაციის ზრდა და საარსებო წყაროების გაუმჯობესება.<br>• გაუტყეურების გამომწვევი კომპონენტების ამოღება მომარაგების ჯაჭვიდან და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენის გაფართოება.<br>• განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ხელშეწყობა, რაც მოიტანს სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელსა და გააუმჯობესებს საარსებო წყაროებს.<br>• არაქსელური ენერგიის წყაროების ხელშეწყობა სასოფლო და ურბანულ ტერიტორიებზე.<br>• დაბალი ემისიისა და სტაბილური ურბანული განვითარების მიზნით, შესაძლებლობათა გაუმჯობესება თემზე მორგებული, სოციალურად ინკლუზიური და ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.<br>• ინოვაციური და სოციალურად ინკლუზიური ურბანული გადაწყვეტილებების/მიდგომების წარმოჩენა (ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ენერგიის, ტრანსპორტის, წყალგამყოფების დაცვის, ეკოსისტემური სერვისებისა და ბიომრავალფეროვნების ჩათვლით). |
| საქართველოს სემიარიდული ზონა | • ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების კონსერვაციისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, მმართველობის თანასწორი სისტემების მეშვეობით, ადგილობრივი თემების უფლებების აღიარებითა და პატივისცემით.<br>• ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშემწყობი თემის მიერ მართული პრაქტიკისა და მიდგომების გაუმჯობესება, მათ შორის, ლურჯი ეკონომიკის წახალისება (მაგ., სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ა.შ.).<br>• სათემო საქმიანობის გაძლიერება საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დასაცავად. |

| სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები | ქვეყნის მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის პრიორიტეტები |
|---|---|
| | • სურსათის წარმოებისა და ღირებულებათა ჯაჭვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, დაუცველ ეკოსისტემებში (მთები, და სხვა ეკოსისტემები და ა.შ.).<br>• დივერსიფიკაციის ზრდა და საარსებო წყაროების გაუმჯობესება.<br>• გაუტყეურების გამომწვევი კომპონენტების ამოღება მომარაგების ჯაჭვიდან და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენის გაფართოება.<br>• განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, რაც მოიტანს სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელსა და გააუმჯობესებს საარსებო წყაროებს.<br>• არაქსელური ენერგიის წყაროების ხელშეწყობა სასოფლო და ურბანულ ტერიტორიებზე.<br>• დაბალი ემისიისა და სტაბილური ურბანული განვითარების მიზნით, შესაძლებლობათა გაუმჯობესება თემზე მორგებული, სოციალურად ინკლუზიური და ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.<br>• ინოვაციური და სოციალურად ინკლუზიური ურბანული გადაწყვეტილებების/მიდგომების წარმოჩენა (ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ენერგიის, ტრანსპორტის, წყალგამყოფების დაცვის, ეკოსისტემური სერვისებისა და ბიომრავალფეროვნების ჩათვლით). |

## დ) გრანტების გაცემა პრიორიტეტულ ლანდშაფტებს მიღმა

მცირე გრანტების საქართველოს პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზაზე, რესურსების 30%-მდე გაიცემა შერჩეულ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებს მიღმა შესასრულებელ პროექტებზე, რისი მიზანიცაა ინოვაციების, ინკლუზიისა და უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალზე გავლენის მხარდაჭერა. ამ პროექტების ფოკუსი იქნება შემდეგი საკვანძო საკითხები:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების-მთავრობის-კერძო სექტორის დიალოგის პლატფორმა პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვისათვის
- სოციალური ინკლუზია
- ცოდნის მართვა

მცირე გრანტების საქართველოს პროგრამა გააფართოებს დიალოგის ინოვაციურ პლატფორმებს, სადაც მეტად ჩაერთვებიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მთავრობა და კერძო სექტორი. ეს პლატფორმები ასევე შექმნის შესაბამისი პოლიტიკისა და პრაქტიკის შეცვლის შესაძლებლობას, გარემოსდაცვითი მდგრადობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად. ამასთან, იმოქმედებს როგორც ფორუმი, რომელიც გავლენას მოახდენს პოლიტიკურ დისკუსიებზე და შექმნის ხელსაყრელ გარემოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის პარტნიორობისთვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, მიწის მართვა და მდგრადი განვითარება.

ამ პროექტების საკვანძო მიზანი იქნება სოციალური ინკლუზია. ქალების, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გაძლიერებაზე იმუშავებს საგანგებოდ ამ ჯგუფებზე

მიმართული ინიციატივები/პროექტები, ამასთან, ეს თემა ჩაერთვება მცირე საგრანტო პროგრამის ყველა პროექტში. აღნიშნული ნაბიჯები უზრუნველყოფს ამ ჯგუფების აქტიურ მონაწილეობას გარემოსდაცვით მოქმედებებში და სარგებლობას საარსებო წყაროების გაუმჯობესებული შესაძლებლობებით. შერჩეულ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებს მიღმა პროექტების განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსები ხელს შეუწყობს აღნიშნულ ლანდშაფტებში შემუშავებული წარმატებული მიდგომების გამეორებას, რითაც გააფართოებს ინკლუზიური გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მასშტაბებს.

მცირე გრანტების პროგრამა პრიორიტეტს მიანიჭებს ცოდნის მართვის ინიციატივებს, რათა გაუმჯობესდეს პროექტის აქტივობები შერჩეული სახმელეთო /საზღვაო ლანდშაფტის შიგნითაც და გარეთაც. ეს ინიციატივები ფოკუსირებული იქნება წარმატებული მაგალითების გამეორებასა და საუკეთესო პრაქტიკის სხვა რეგიონებში გავრცელებაზე, ასევე, მათი მასშტაბის გაზრდაზე. აღნიშნულის მიზანია შერჩეულ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებზე პროექტებიდან მიღებული გამოცდილების უფრო ფართოდ გამოყენება, რაც წვლილს შეიტანს გარემოსდაცვითი და სოციალური ინკლუზიის მიზნის მიღწევაში უფრო მაღალ, ეროვნულ დონეზეც.

შერჩეულ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებს მიღმა განხორციელებული პროექტები სტრატეგიულად თანხვედრაში იქნება ქვეყნის პროგრამის ერთიან მიზანთან. აღნიშნული ინიციატივები მხარს დაუჭერს შემდეგ შესაძლებლობებს:

- შერჩეულ ტერიტორიაზე შემუშავებული საუკეთესო პრაქტიკის სხვა რეგიონებისთვის გაზიარება, განსაკუთრებით, გარემოსდაცვითი მდგრადობის, სოციალური ინკლუზიისა და სათემო ჩართულობის ინოვაციური მიდგომების კუთხით.
- სინერგიის შექმნა სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტის შიგნით და მის გარეთ შესრულებულ პროექტებს შორის, რათა ხელი შეეწყოს უფრო მასშტაბურ გარემოსდაცვით შედეგებსა და პოლიტიკის ადვოკატირებას.
- დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო სპექტრის ჩართვა, მათ შორის, სამთავრობო უწყებებისა და კერძო სექტორის, რათა წარმატებული მოდელების გავლენა სხვა სფეროებზეც გავრცელდეს.
- სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტს მიღმა არსებული რესურსების ურთიერთშემავსებელი და დამხმარე გზით გამოყენებით, მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში მიზნად ისახავს მისი გავლენის გაზრდას, სექტორთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებას, სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების გაუმჯობესებას, როგორც შერჩეულ ტერიტორიებზე, ასევე მათ ფარგლებს გარეთ.

### 4.2 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების-მთავრობის-კერძო სექტორის დიალოგის პლატფორმები

მცირე გრანტების პროგრამა წაახალისებს, შექმნის და ყოველმხრივ მხარს დაუჭერს სამოქალაქო საზოგადოებას, მთავრობასა და კერძო სექტორს შორის დიალოგის პლატფორმებს, როგორც ლანდშაფტების, ისე ეროვნულ დონეზე. ლანდშაფტების დონეზე, საგანგებო ძალისხმევა

მიემართება ახალი შესაძლებლობების შექმნისა თუ არსებულის გაძლიერებას საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მთავრობას შორის ქმედითი დიალოგისთვის. ეს შეიძლება იყოს ორმხრივი ინიციატივებისა და აქტივობების, ასევე კონკრეტულ საკითხებზე მრგვალი მაგიდის დისკუსიების მოწყობის მხარდაჭერა. ეროვნულ დონეზე მცირე გრანტების პროგრამა ჩაერთვება დიალოგის არსებულ პლატფორმებში და ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციების მონაწილეობას, რათა მათი ხმაც ისმოდეს. მე-8 სამუშაო ფაზაში მცირე გრანტების საქართველოს პროგრამა გააფართოებს პლატფორმას დიალოგისათვის, რათა უფრო მეტად ჩართოს კერძო სექტორი და ამისათვის შექმნის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების-მთავრობის-კერძო სექტორის ფორუმს, სადაც გაღრმავდება დიალოგი გარემოს დაცვის შესახებ.

ამასთან, მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავების ძირითად პროცესებში, რაც უზრუნველყოფს, რომ ლანდშაფტის დონეზე გამოვლენილი პირველი რიგის პრობლემები აისახოს ეროვნულ პოლიტიკაში. აღნიშნული მოიცავს წვლილის შეტანას საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (NBSAP) და გარემოსდაცვითი ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEAP) გადახედვაში. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა მოუწოდებს მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროექტების დიზაინში ჩართონ შესაძლებლობათა გაძლიერება და „ადგილობრივიდან ეროვნულამდე“ პარტნიორობა - ამით გაძლიერდება არასამთავრობო სექტორის გავლენა გარემოსდაცვითი პოლიტიკის შექმნაზე ადგილობრივ, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე. აღნიშნული ძალისხმევა დაეყრდნობა მიღებულ გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკისა და პროგრამის უფრო ქმედით გავლენას და კარგი პრაქტიკის უკეთ ჩართვას.

### 4.3 სოციალური ინკლუზია, მათ შორის, გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება

მცირე გრანტების პროგრამა აქტიურად უწყობდა ხელს ქალების ჩართულობას გარემოსდაცვით პროექტებში წინა - მე-5, მე-6 და მე-7 სამუშაო ფაზებზე. სამომავლოდ, პროგრამა გააგრძელებს ამ ძალისხმევას და მცირე გრანტების პროგრამის დაფინანსებულ ყველა პროექტში გაითვალისწინებს გენდერული თანასწორობის საკითხებს. პროექტების მინიმუმ 40%-ს უხელმძღვანელებენ ქალები, ან კიდევ შეიქმნება ახალი მექანიზმები თანამონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ქალების ჩართვისათვის. ამასთან, თითოეული პროექტის ბენეფიციარების მინიმუმ 50% იქნებიან ქალები და გოგონები.

შერჩეულ ლანდშაფტებზე ქალთა მდგომარეობის წამოწევისათვის, მცირე გრანტების პროგრამა აქცენტს გააკეთებს ქალთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა მათ თამამად მიიღონ გადაწყვეტილებები ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, როგორიცაა მიწა, ტყე და სხვა ბიოლოგიური რესურსები. ამ გზით გაუმჯობესდება ქალთა თანაბარი ჩართულობა თემის, სასოფლო და ურბანული დაგეგმარების პროცესებში. პროგრამა ასევე გაითვალისწინებს ტრენინგებს პოლიტიკის შემუშავების დონეზეც, რათა მხარი დაუჭირონ ქალთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების ფორუმებში. ამასთან, მათთვის შექმნის საარსებო საშუალებათა

მიღების მდგრად შესაძლებლობებს, ბუნების კონსერვაციის, რეაბილიტაციისა და აღდგენის პროექტების მეშვეობით.

გარდა ამისა, პროექტი იმუშავებს შერჩეულ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებზე ქალების წინაშე არსებულ გამოწვევებზე და მიდგომებს მოარგებს ადგილობრივ კონტექსტს, რათა გააძლიეროს ქალები სოციალური და ეკონომიკური მიმართულებით.

მცირე გრანტების საქართველოს პროგრამა განაგრძობს შშმ პირთა მონაწილეობის გათვალისწინებას თავის პორტფოლიოსა და პროექტებში. წინა სამუშაო ფაზებიდან მიღებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით, იგი გაიზიარებს საუკეთესო პრაქტიკას, თუ როგორ მოახერხოს გარემოსდაცვითმა პროექტებმა შშმ პირთა უკეთ ჩართვა და მიაღწიოს ქმედით შედეგს გარემოს დაცვისა თუ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში.

შშმ პირთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მცირე გრანტების საქართველოს პროგრამა გაითვალისწინებს ასეთი ადამიანების პერსპექტივას საპროექტო წინადადებებსა და პროექტთა დიზაინში. იგი უზრუნველყოფს აღნიშნულ საკითხთა ჩართვას როგორც დაგეგმვის, ასევე განხორციელების ეტაპზე, რითაც ხელს შეუწყობს უფრო ინკლუზიური შედეგის მიღებას. საპროექტო წინადადებების შემუშავებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებები საგანგებოდ აღნიშნავს სოციალური ინკლუზიის გათვალისწინების აუცილებლობას, განსაკუთრებით, შშმ პირთა მიმართ, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების კვალდაკვალ.

ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნა იქნება საპროექტო წინადადების შედგენისას სოციალური ინკლუზიის ასპექტების ასახვა. ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს (NSC) წევრები ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით შეაფასებენ საპროექტო წინადადებებს. მცირე გრანტების პროგრამა ინვესტიციას ჩადებს ქალებისა და შშმ პირთა შესაძლებლობების განვითარებაში, ტრენინგების, მენტორობისა და მხარდაჭერის სხვა ფორმების გამოყენებით, რათა ეს ჯგუფები სათანადოდ აღიჭურვონ შესაბამისი უნარებით და აქტიურად ჩართონ გარემოსდაცვით მოქმედებებში.

ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინიშნებიან პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ზედამხედველობას გაუწევენ ქალთა გაძლიერების, გენდერული თანასწორობისა და შშმ პირთა ინკლუზიის ხელშეწყობას. მათ ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ სოციალური ინკლუზია პრიორიტეტი იყოს არა მხოლოდ პროექტის დაგეგმვის ფაზაზე, არამედ მისი განხორციელების პროცესშიც და ეს საკითხი მუდმივად მოწმდებოდეს. შემუშავდება სამიზნე პროექტები, რათა გენდერულ თანასწორობას, ქალთა გაძლიერებასა და შშმ პირთა მონაწილეობას ფუნდამენტური ადგილი ეკავოს მცირე გრანტების პროგრამის მთელ პორტფოლიოში.

ამ ყოვლისმომცველი მიდგომით, გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა ინტეგრირებული იქნება მცირე გრანტების ქვეყნის პროგრამების ყველა ასპექტში, რაც ხელს შეუწყობს უფრო ინკლუზიურ, სამართლიან და მონაწილეობით გარემოსდაცვით მოძრაობას.

## 4.4 ცოდნის მართვის გეგმა

მე-8 სამუშაო ფაზაში, მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში პრიორიტეტს მიანიჭებს მიღებული გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის მაგალითების შეგროვებას, გაზიარებასა და გავრცელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სამოქალაქო საზოგადოებაზე, მთავრობაზე, კერძო სექტორსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებზე. პროგრამა ხელს შეუწყობს ცოდნის გენერირებასა და უფრო დიდ გავლენას რამდენიმე საკვანძო ინიციატივით:

ცოდნის გენერირება და შეგროვება: მცირე გრანტების პროგამა საქართველოში აქცენტს გააკეთებს ცოდნის ცენტრალიზებაზე, ცოდნის ბაზრობების მოწყობითა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთგაძლიერების პლატფორმების შექმნით. ამ გზით შეიქმნება ჰაბი სოციალური ურთიერთკავშირებისათვის, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ურთიერთგაზიარებისა და მიღებული გამოცდილების გაცვლისათვის. ამგვარად, ბიძგი მიეცემა არასამთავრობო და თემზე დაფუძნებული ორგანიზაციებისა და სხვა დაინტრესებული მხარეების კოლაბორაციას, რაც ცოდნისა და გარემოსდაცვითი საუკეთესო პრაქტიკის კონსოლიდაციის საფუძველია.

პროდუქტები ცოდნის გასავრცელებლად: ყურადღება მიექცევა მოგროვებული ცოდნის დოკუმენტირებას სხვადასხვა ფორმატით, როგორიცაა ბუკლეტი, ბროშურა, ანგარიში, ვიდეომასალა თუ ფილმი. გავრცელდება როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი მასალა. გრანტიორებს მოეთხოვებათ, აღწერონ და დოკუმენტების სახით წარმოადგინონ პროექტის მიმდინარეობა და მიღწეული შედეგები. ამგვარი პროდუქტები მიეწოდებათ დაინტერესეულ მხარეებს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, რათა შესაძლებელი გახდეს მათი გამეორება და მასშტაბის გაზრდა.

ტრენინგები და შესაძლებლობათა გაუმჯობესება: თემატური ტრენინგები და სემინარები არსებით როლს შეასრულებს სწავლების პროცესის ხელშეწყობაში, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების ქსელის განვითარება კი გააძლიერებს ურთიერთთანამშრომლობას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებზე მიღებული გამოცდილების ელექტრონული ქსელით გაზიარებასა და საინფორმაციო მასალების გამოქვეყნებაზე - ამ გზით ტრენინგის მასალები ფართოდ ხელმისაწვდომი იქნება ხალხისათვის.

ცოდნის გავრცელების მექანიზმები: მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში გამოიყენებს საჩვენებელ და პროექტების საკვლევ ტერიტორიებს, ასევე, სემინარებს პირველადი გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების შესაგროვებლად. შეძენილი ცოდნა გაზიარდება პუბლიკაციებისა თუ ელექტრონული ქსელების მეშვეობით, შეკრებებსა და სამუშაო შეხვედრებზე. ასევე მოეწყობა სემინარები და კონფერენციები დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, ცოდნის გადაცემის გაუმჯობესებისა და პოლიტიკის შემუშავებაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

თანამშრომლობა და გამოცდილების გაცვლა ანალოგიურ ორგანოებს/ინსტიტუციებს/კოლეგებს შორის და სამხრეთი-სამხრეთის თანამშრომლობა: მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში ხელს შეუწყობს გამოცდილების ურთიერთგაცვლას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, პროგრამის რეგიონულ თუ საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის გზით. სამხრეთი-

სამხრეთის თანამშრომლობა გააფართოებს ცოდნის გაზიარებას მსგავსი გარემოსდაცვითი პრობლემების მქონე ქვეყნებს შორის.

თანამშრომლობა ეროვნულ და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან: მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში მჭიდროდ ითანამშრომლებს გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისთან, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მიმართულების ფარგლებში, მიიღებს რა მონაწილეობას პროექტის აქტივობებში. ამასთან, ადგილობრივ თემებთან, რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის ყველა შემთხვევა გამოყენებული იქნება, როგორც შესაძლებლობა საუკეთესო პრაქტიკისა და მიღებული გამოცდილების გასავრცელებლად.

ინოვაციების მასშტაბის გაზრდა და გამეორება: განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საპროექტო წინადადებებს, რომლებიც ავლენენ სხვა არასამთავრობო თუ სათემო ორგანიზაციების მიერ გამეორებისა და მასშტაბის გაზრდის პოტენციალს. განმცხადებლებს მოეთხოვებათ ცოდნის მართვის კომპონენტების ჩართვა თავიანთ საპროექტო შეთავაზებებში, რათა შესაძლებელი იყოს წარმატებული ინოვაციების ეფექტური გამეორება სხვადასხვა რეგიონში.

ცოდნის გავლენა პოლიტიკის შემუშავებაზე: ეროვნული კოორდინატორი პასუხისმგებელი იქნება მცირე გრანტების პროგრამიდან მიღებული ცოდნის გასავრცელებელი პროდუქტების მომზადებაზე, რითაც წვლილს შეიტანს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ცოდნის მართვის გეგმის გაფართოებაში. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ორგანიზებულ პრესკონფერენციებზე, სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებზე ხაზგასმით აღინიშნება მცირე გრანტების პროგრამის როლი გლობალური გარემოსდაცვითი სარგებლის მიღწევასა და გაეროს კონვენციების დანერგვაში.

## 5. კომუნიკაციის გეგმა

მცირე გრანტების საქართველოს პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგია იმგვარად შემუშავდება, რომ ეფექტიანად შეძლოს დაინტერესებული მხარეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ეროვნულ პროგრამებში ჩართვა, ამავდროულად, მონაწილეობის, ურთიერთობების განვითარებისა და პარტნიორობის წახალისება. სტრატეგია ასახავს მცირე გრანტების პროგრამის წვლილს ეროვნულ პრიორიტეტებში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროგრამების შემუშავებასა და გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიებში.

მცირე გრანტების საქართველოს პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

გლობალური გარემოსდაცვითი საკითხებისა და მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა საარსებო წყაროები, სიღარიბის შემცირება, გენდერული თანასწორობა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობა.

პარტნიორობისა და ადვოკატირების ხელშეწყობა დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის, მათ შორის, მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობით.

ცნობიერების ამაღლება, ასევე, რესურსებისა და მოქმედებათა მობილიზება ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე, გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების მიმართულებით მცირე გრანტების პროგრამის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით.

მცირე გრანტების საქართველოს პროგრამა იმუშავებს დაინტერესებულ მხარეებთან, მონაწილეობითი მიდგომით, ფართო სპექტრის მოქმედ პირთა ჩართულობით, რომელთა შორის არიან:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები - მცირე გრანტების პროგრამის ბენეფიციარებიც და მონაწილეებიც, რადგან მათი წარმომადგენლები არიან პროგრამის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.
- არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები, რომლებიც მუდამ უშუალოდ არიან ჩართულნი საკონსულტაციო შეხვედრებში, სადაც ღია დიალოგის გზით მუშაობენ საპროექტო წინადადებებზე, განიხილავენ პროექტის შესრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და მიღებულ გამოცდილებას.
- სამთავრობო უწყებები, დონორი ორგანიზაციები, აკადემიური წრეები და კერძო სექტორი, რომლებიც პარტნიორის ეგიდით აქტიურად ჩაერთვებიან პროექტის მართვასა და განხორციელებაში.
- ადგილობრივი და მუნიციპალური მთავრობები, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ საუკეთესო პრაქტიკის გამეორებასა და მასშტაბის გაზრდაში.

აღნიშნული დაინტერესებული მხარეები რეგულარულად გაივლიან კონსულტაციებს, რათა მცირე გრანტების პროგრამის აქტივობები სათანადოდ შეესაბამებოდეს ეროვნულ გარემოსდაცვით პრიორიტეტებს და გლობალურ ვალდებულებებს, ასევე, სექტორები მოქმედებდნენ შეთანხმებულად და კოორდინირებულად.

მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო მექანიზმსა და პლატფორმას, დაინტერესებული მხარეების ჩასართავად, ცნობიერების ამაღლებისა და პროგრამის გავლენის გასაზრდელად, მათ შორისაა:

ვიზუალური მედია, ვებგვერდი და სოციალური მედიაპლატფორმები: ეს უმნიშვნელოვანესია წარმატების ისტორიების გავრცელების, ინოვაციების გაცნობისა და ფართო აუდიენციის მოსაზიდად, დროული ინფორმირების გზით.

ღონისძიებები და ცოდნის ბაზრობები: განსაკუთრებული თარიღების აღსანიშნად, როგორიცაა, მაგალითად, მცირე გრანტების საქართველოს პროგრამის ათი წლისთავი, ჩატარდება ცოდნის ბაზრობები და სხვა ღონისძიებები, რაც ხაზს გაუსვამს სამოქალაქო საზოგადოების როლს გარემოსდაცვითი პრობლემების ეროვნულ დონეზე განხილვასა და ადგილობრივი თემების გაძლიერებაში.

ანგარიშები, პუბლიკაციები და საინფორმაციო ბიულეტენები: ეს ინფორმაცია გამოყენებული იქნება პროექტის შედეგების, მიღებული გამოცდილებისა და ინოვაციური პრაქტიკის გასაზიარებლად დაინტერესებულ მხარეებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რაც უზრუნველყოფს წარმატებული მოდელების ფართოდ გავრცელებას.

ისტორიები და ადვოკატირება: მცირე გრანტების პროგრამა აქტიურად გამოიყენებს ისტორიების თხრობის მეთოდს, როგორც მძლავრ ინსტრუმენტს ადგილობრივ თემთა ხმის გასაჟღერებლად და გამოცდილების გადმოსაცემად, რაც გამოავლენს მცირე გრანტების პროგრამის მხარდაჭერილი პროექტების გავლენას საარსებო წყაროებზე, გარემოსა და თემის მედეგობაზე.

ტრენინგები და სემინარები: ეს იქნება საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის, პარტნიორობის ხელშეწყობისა და ადგილობრივი სამოქალაქო თუ სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაძლიერების პლატფორმები.

მცირე გრანტების საქართველოს პროგრამის საკომუნიკაციო საქმიანობა შესაბამისობაში იქნება ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან და ასახავს წვლილს თითოეულის განვითარებაში:

- ეროვნული პრიორიტეტები - წარმოაჩენს, თუ როგორ უჭერენ მხარს მცირე გრანტების პროგრამის პროექტები საქართველოს გარემოსდაცვით მიზნებსა და მდგრადი განვითარების დღის წესრიგს.
- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროგრამები - ხაზი გაესმება, რომ ეს პროგრამები ფოკუსირდება ინოვაციურ, მასშტაბურ პროექტებზე, რომლებიც გამოდგება ნიმუშად შემდგომი გამეორებისათვის და აქვთ მასშტაბის ზრდის პოტენციალი.
- გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიები - წარმოაჩენს სინერგიას მცირე გრანტების პროგრამის ინიციატივებსა და გაეროს განვითარების პროგრამის უფრო ფართო მანდატს შორის, რომელიც მოიცავს სიღარიბის შემცირების, მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის მიმართულებებს.

კომუნიკაციის სტრატეგია ხაზს გაუსვამს გაეროს სააგენტოებთან, კერძო სექტორსა და სამთავრობო უწყებებთან ძლიერი პარტნიორობის დამყარების მნიშვნელობას. მცირე გრანტების საქართველოს პროგრამა მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას თემზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობის შესახებ და პარტნიორების მობილიზებას შემდგომი ქმედებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინიციატივებს და მათ როლს პოლიტიკის შემუშავებასა და გარემოსდაცვით მმართველობაში.

გარემოსდაცვითი პროგრამების მხარდაჭერისა და მათთვის ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მცირე გრანტების პროგრამა აქტიურად გაავრცელებს წარმატების ისტორიებსა და მიღებული გამოცდილების ამბებს. საზოგადოებრივი კამპანიები, მედიის ჩართულობა და სტრატეგიული პარტნიორობა გამოყენებული იქნება დამატებითი რესურსების მობილიზებისთვის, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე.

## 6. რესურსების მობილიზაციისა და პარტნიორობის გეგმა

### ა) *მოძიებული და დაგეგმილი ფულადი და არაფულადი თანადაფინანსება*

**პროექტის დონეზე,** ყველა კანდიდატი და გამარჯვებული ორგანიზაცია, პროექტის დამტკიცებამდეც და განხორციელების ეტაპზეც, მიიღებს მასზე მორგებულ მითითებებსა და რჩევებს, რათა გაიძლიეროს შესაძლებლობები სათანადო ოდენობის თანადაფინანსების მისაღებად. წინა ფაზებზე დაფინანსების მთავარი წყარო იყო ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. ეროვნული კოორდინატორი უზრუნველყოფს, რომ ასევე მაქსიმალურად იყოს ათვისებული თანადაფინანსების რეგიონული და ეროვნული დონის წყაროები. შესაძლო დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ეროვნული კოორდინატორი შეძლებისდაგვარად დაეხმარება ადგილობრივ აპლიკანტს პოტენციურ დონორებთან დაკავშირებაში.

**სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტის დონეზე,** გამოიკვეთა რამდენიმე მიმდინარე ფართომასშტაბიანი პროექტი. რეგიონული ფოკუსი და მათი პრიორიტეტული ტერიტორიები, ზოგ შეთხვევაში, ემთხვევა მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის შერჩეულ სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებს. შემოსულ განაცხადებებში მოცემული გეოგრაფიული ფარგლების მიხედვით, შეირჩევა შესაბამისი კონკრეტული პროექტები, მოცემული კანდიდატები კი მიიღებენ კონსულტაციებს დამატებითი თანადაფინანსების მოპოვებაზე, ასევე, ინფორმაციას შემდგომი დაფინანსების შესაძლებლობებზე.

**კერძო სექტორი** განიხილება, როგორც დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოტენციური წყარო, განსაკუთრებით - პროექტების დონეზე. ეროვნული კოორდინატორი ამ კუთხითაც არსებითად დაეხმარება პროექტებს კერძო სექტორთან კავშირების დამყარებასა და პროექტზე მორგებული თანადაფინანსების შესაძლებლობათა მოძიებაში. ამასთან, ეროვნული კოორდინატორი იმუშავებს საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის დამყარებაზე, დაფინანსების შესაძლებლობათა მეტად გაფართოებისათვის.

**ეროვნულ დონეზე** ძალისხმევა ფოკუსირებული იქნება თანადაფინანსების მოპოვებაზე ქვეყანაში მოქმედი მასშტაბური სამთავრობო პროგრამებიდან, ეროვნული განვითარების ფონდებიდან და საერთაშორისო დონორი სააგენტოებიდან. ეროვნული კოორდინატორი ითანამშრომლებს ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, სამინისტროებსა და სამთავრობო სააგენტოებთან, მცირე გრანტების პროგრამის მიზნების ეროვნულ პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, რაც უზრუნველყოფს თანადაფინანსების უფრო ფართო შესაძლებლობებზე წვდომას. იგი ასევე ითანმშრომლებს ქვეყანაში კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, რათა მხარი დაუჭიროს სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტებში განხორციელებულ პროექტებს.

### ბ) თანადაფინანსების შესაძლებლობები

რესურსების მობილიზაციის სტრატეგია ორიენტირებულია რესურსების მობილიზებაზე გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პარტნიორებისა და არაპარტნიორებისაგან, მათ შორის, ორმხრივი და მრავალმხრივი სააგენტოებისგან, ევროკავშირის ფონდებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან (მაგალითად: GIZ, WWF, IUCN, CNF, PIN, DRC), მიმდინარე მსხვილი

პროგრამებიდან (იხილეთ ცხრილი #2), ეროვნული და ადგილობრივი სამთავრობო ინსტიტუტებისგან, ცენტრალური და ადგილობრივი/მუნიციპალური სამთავრობო პროგრამებიდან. პარტნიორობა პირდაპირ წვლილს შეიტანს ინიციატივების განხორციელებაზე ქვეყნის პროგრამის სტრატეგიიდან და ხელს შეუწყობს პროგრესს გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში, განსაკუთრებული აქცენტით ტყის მართვაზე, სურსათის უსაფრთხოებასა და კლიმატის ცვლილებაზე.

ქვეყნის პროგრამის მდგრადობისათვის, გაძლიერდება ხარჯების გაზიარების მექანიზმები, რაც მოიცავს შენატანებს UNDP-ის რესურსებიდან, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სამთავრობო ინსტიტუტებიდან და ორმხრივი დონორებისგან. ამ პარტნიორებთან რეგულარული დიალოგი დაეხმარება გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებათა უზრუნველყოფას და CPS-ის პრიორიტეტებთან შესაბამისობას.

მცირე გრანტების პროგრამა - როგორც პლატფორმა უფრო მასშტაბური პროექტებისა და პროგრამების მიწოდებისათვის, მეტად გაფართოვდება. მოიცავს თანამშრომლობას ევროკავშირის დაფინანსებულ პროგრამებთან, მრავალმხრივ დაფინანსების მექანიზმებთან (როგორიცაა მწვანე კლიმატის ფონდი) და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან (მაგ., აზიის განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი). ასეთი პარტნიორობა შესაძლებელს გახდის გამოცდილი, თემზე დაფუძნებული მოდელების მასშტაბის ზრდას და უზრუნველყოფს ქვეყნის დონეზე მეტად ფართო გავლენას.

უფრო ძლიერი ძალისხმევა მოხმარდება კერძო სექტორის მოზიდვას და მათ მონაწილეობას თანადაფინანსებითა და მდგრად საწარმოებში ინვესტირებით. ეროვნული კოორდინატორი დაეხმარება პარტნიორობის დამყარებას კომპანიებსა და ბიზნესასოციაციებთან. გარდა ამისა, დაფინანსების დამატებით წყაროებად განიხილება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორიცაა შეღავათიანი სესხები განვითარების ბანკებიდან (მაგ., აზიის განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი).

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის შედეგების წარდგენის, ასევე, მე-8 სამუშაო ფაზისთვის ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის გაცნობის მიზნით, ორგანიზებული იქნება ორმხრივი შეხვედრები, სემინარები და დონორთა საკოორდინაციო ფორუმები, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება თანადაფინანსებისა და ხარჯების გაზიარების შესაძლებლობებზე. ეროვნული სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან სამთავრობო, აკადემიური, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორთა წარმომადგენლები, ცენტრალურ როლს შეასრულებს დამატებითი თანხების მობილიზებაში, როგორც პროექტის, ასევე ქვეყნის დონეზე (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2).

## 7. პარტნიორობის შესაძლებლობები

მცირე გრანტების პროგრამის ქვეყნის გუნდს, მათ შორის, ეროვნულ სამეთვალყურეო საბჭოსა და ტექნიკურ საკონსულტაციო ჯგუფებს, შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს თემებსა და

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საპროექტო წინადადებების მომზადებისას, სხვა დონორებსა და დაფინანსების საშუალებებზე წვდომის მიზნით. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით, როგორიცაა ინფორმაციის გაზიარება ხელმისაწვდომი დაფინანსების შესაძლებლობზე, ტექნიკური დახმარება საპროექტო წინადადებების შედგენისას და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის ხელშეწყობა. თავიანთი ექსპერტიზითა და კავშირებით, ეროვნულ საბჭოსა და ტექნიკურ საკონსულტაციო ჯგუფებს შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და თემების დახმარება დაფინანსების წყაროების გამოვლენასა და მოძიებაში.

მართალია, შესაძლოა, თანხები პირდაპირ მცირე გრანტების პროგრამის ფონდში არ მოხვდეს, თუმცა, ეს აქტივობები ხელს უწყობს რესურსების მობილიზაციას იმით, რომ იზრდება ფინანსური რესურსების ნაკადი მცირე გრანტების პროგრამის მხარდაჭერილი დაინტერესებული მხარეებისთვის. **Grantmakers Plus** ინიციატივა ბიძგს აძლევს ხელსაყრელი გარემოს შექმნას მცირე გრანტების პროგრამის სტრატეგიულ ინიციატივათა გაფართოებისათვის, ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე ქსელური კავშირების გაძლიერების, შესაძლებლობათა განვითარებისა და ცოდნის გაცვლის გზით. ამგვარი თანამშრომლობითი მიდგომა ეხმარება თემებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს რესურსებზე წვდომის გაფართოებასა და გარემოსდაცვითი პროექტების გავლენის ზრდაში.

## 8. რისკის მართვის გეგმა

ცხრილი 4. მე-8 სამუშაო ფაზაში გამოვლენილი რისკების აღწერა

| იდენტიფიცირებული რისკის აღწერა | რისკის ხარისხი (დაბალი, საშუალო, მაღალი) | რისკის ალბათობა (დაბალი, საშუალო, მაღალი) | რისკების შესამცირებლად გათვალისწინებული ღონისძიებები |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების არასაკმარისი შესაძლებლობა, დაგეგმონ და განახორციელონ ადგილობრივი და ლანდშაფტური კონტექსტის შესაბამისი პროექტები | საშუალო | საშუალო | ჩატარდება ვრცელი განმარტებითი და სახელმძღვანელო სამუშაოები თითოეულ შერჩეულ ლანდშაფტზე; აქტიურად წახალისდება არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის პარტნიორობა, უფრო მეტი შედეგის მისაღწევად ლანდშაფტების დონეზე; საჭიროების შემთხვევაში, განიხილება მოკლევადიანი მიზნობრივი გრანტების გაცემა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობათა განვითარებისათვის |
| სოციალური კონფლიქტები რესურსების განაწილებასთან ან პროექტის სარგებელზე არათანაბარ წვდომასთან დაკავშირებით | დაბალი | დაბალი | დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარება ინკლუზიურობისა და სარგებლის სამართლიანად განაწილების უზრუნველსაყოფად |
| პოლიტიკური არასტაბილურობა ან კონფლიქტის ესკალაცია ოკუპირებული ტერიტორიების მახლობლად | მაღალი | დაბალი | შესაბამის განმცხადებელს მოეთხოვება ალტერნატიული სცენარ(ებ)ის შემუშავება, რომელსაც აამოქმედებს ამგვარი სიტუაციის განვითარების შემთხვევაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| შრომის უსაფრთხოებასა და დაცვასთან დაკავშირებული რისკები | საშუალოდან მაღალი | საშუალო | პროექტები, რომლებიც მოიცავს მაღალი რისკის შემცველ საქმიანობას (მაგალითად: საველე სამუშაოები მაღალ მთებში, სახიფათო ქიმიკატებთან და ა.შ.), განაცხადი დეტალურად უნდა აღწერდეს უსაფრთხოების ზომებს და ითვალისწინებდეს რისკების შემცირების/მართვის გეგმებს |
| ექსტრემალური, მეტეოროლოგიური პირობები და სტიქიური მოვლენები | საშუალოდან მაღალი | საშუალო | პროექტებში იდენტიფიცირებული იქნება ისეთი კომპონენტები, რომლებზეც მოქმედებს ექსტრემალური, მეტეოროლოგიური პირობები და სტიქიური მოვლენები და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიების ან პრევენციული ზომების სამუშაო გეგმა |
| თანადაფინანსების ნაკლებობა და პროექტების სუსტი მდგრადობა | საშუალო | დაბალი | ჩატარდება შეხვედრები/სემინარები/ პრესკონფერენციები მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის პოპულარიზაციისა და დამატებითი რესურსების მობილიზებისთვის სხვადასხვა დონეზე |

| | | | |
|---|---|---|---|
| არაპროპორციული ინტერესი და განაცხადების არათანაბარი განაწილება სხვადასხვა სტრატეგიულ ინიციატივას შორის | საშუალო | მაღალი | ადგილზე ჩატარდება ვრცელი წამახალისებელი და განმარტებითი სამუშაოები იმისათვის, რომ საპროექტო წინადადებები მოიცავდეს თემატური სფეროების მთელ სპექტრს |
| დაბალი ინტერესი დაუცველი სოციალური ჯგუფების მხრიდან<br>. | საშუალო | საშუალო | დაგეგმილ ღონისძიებათა გარდა, უფლებადამცველ ჯგუფებს (მაგალითად, ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებს) შესთავაზებენ მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზაში ჩართვას და მის პოპულარიზაციას |

მე-8 სამუშაო ფაზაში, ეს რისკები განიხილება და შეფასდება ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის ყოველწლიური შეფასებისა და წლიური მონიტორინგის ანგარიშების მომზადებისას. კონკრეტული რისკის იდენტიფიცირებული დონე და ალბათობა, შესაძლოა, დროდადრო გადაიხედოს. ამასთან, რისკების შემამსუბუქებელ ღონისძიებებზე ერთობლივად იმსჯელებენ ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ამრიგად, გამოვლენილი რისკი, შესაძლოა, აღმოიფხვრას ან ახალმა ფაქტორმა იჩინოს თავი, რისთვისაც შესაბამისი შემარბილებელი ზომები შემუშავდება.

## 9. მონიტორინგის და შეფასების გეგმა

მცირე გრანტების პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყანაში (2019) ითვალისწინებს პროგრესზე დაკვირვებასა და შედეგების შეჯამებას პროექტის ინდიკატორების ჩამონათვალის მიხედვით. ამ ინდიკატორებთან მიმართებით ამზადებენ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს მცირე გრანტების პროგრამები. თითოეული პროექტი ვალდებულია, გამოყოს გრანტის მთლიანი თანხის 4-6% მონიტორინგისა და შეფასების აქტივობებისთვის, რაც დაფარავს მიმდინარე ანგარიშების მომზადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და GEF-8-ის ინდიკატორების მონიტორინგს. თუ გრანტის მიმღების მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში გათვალისწინებულია შეფასება, ისიც ამ ბიუჯეტიდან დაფინანსდება. გარდა ამისა, რეკომენდებულია ზეგავლენის მიმოხილვა, რათა მტკიცებულებებზე დაფუძნებით ვიცოდეთ სამუშაო ფაზის განმავლობაში მიღწეული შედეგები, სადაც ხაზი გაესმება ისეთ ძლიერ მხარეებს, როგორიცაა სოციალური ჩართულობა, მასშტაბის გაზრდა, პოლიტიკაზე გავლენა და მიწოდების მექანიზმების ეფექტურობა. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მონიტორინგისა და

შეფასების პრაქტიკა იყოს ყოვლისმომცველი, ამასთან, შეესაბამებოდეს მცირე გრანტების პროგრამის ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებსა და მიზნებს.

## 9.1 მონიტორინგი პროექტებისა და ქვეყნის დონეზე

რეგულარული მონიტორინგით, მონაცემთა შეგროვებითა და გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი მიმდინარე ანგარიშებით, სისტემატურად შემოწმდება პროექტის პროგრესი. შედეგები შეგროვდება და გაანალიზდება ქვეყნის პროგრამის პორტფელის დონეზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფას. პროექტის და ქვეყნის დონეზე მონაცემები სისტემატურად აღირიცხება მცირე გრანტების პროგრამის მონაცემთა ბაზაში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის თანამიმდევრულობასა და საიმედოობას.

მცირე გრანტების პროგრამის პროექტებს მონიტორინგს გაუწევს ეროვნული კოორდინატორი, ხოლო გრანტის მიმღებთა ცოდნა, მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით, გაძლიერდება სემინარებითა და ტრენინგებით. ამ პროცესში მთავარი ნაბიჯი იქნება მცირე გრანტების პროგრამის გუნდის მიერ საწყის ეტაპზე თემატური მოსამზადებელი სემინარის ორგანიზება, სადაც გრანტის მიმღებნი გაიმყარებენ ცოდნას მონიტორინგისა და შეფასების ახალ სტრატეგიაზე. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს მონაწილეობით, წარმომადგენლობით და სანდო მონაცემთა შეგროვებასა და შესაბამის ანგარიშგებას.

თითოეული პროექტის განხორციელებისას ჩატარდება მინიმუმ ორი მონიტორინგის ვიზიტი, თუმცა სიხშირე, შესაძლოა, გაიზარდოს პროექტის კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. ხარჯების ეკონომიურობის მიზნით, შესაძლოა, მონიტორინგი ერთობლივად ჩაატაროს სხვადასხვა პარტნიორმა - გრანტის გამცემმა ორგანიზაციებმა, ფონდებმა ან აკადემიურმა დაწესებულებებმა. მონიტორინგის პროცესში შეიძლება ჩაერთოს მესამე მხარეც და გლობალური პროგრამის მართვის ცენტრალურ ჯგუფთან კონსულტაციების შემდგომ ინფორმაცია მიაწოდოს გრანტის მიმღებებს.

მცირე გრანტების პროგრამის ყველა პროექტს მოეთხოვება მონიტორინგისა და შეფასების დეტალური გეგმის ასახვა პროექტის დოკუმენტში, შესაბამისი ინდიკატორებით. ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართვა პროექტის დიზაინსა და მონიტორინგში ამაღლებს თემის პასუხისმგებლობას პროექტის მიმართ, ასევე, უზრუნველყოფს მონაწილეობით მონიტორინგსა და შეფასებას. გრანტის მიმღებები (არასამთავრობო ორგანიზაციები/სათემო ორგანიზაციები) რეგულარულად წარადგენენ მიმდინარეობის ანგარიშებსა და საბოლოო ანგარიშს, რომელიც საფუძვლად დაედება გრანტის თანხების განაწილებას.

ეროვნული კოორდინატორი ზედამხედველობას გაუწევს თითოეული პროექტის შესრულებას მონიტორინგისა და შეფასების გეგმის მიხედვით, რომელიც კოორდინირებული იქნება არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების სამუშაო გეგმებთან. მონიტორინგის მიზნით, ეროვნული კოორდინატორი და ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მოინახულებენ პროექტების განხორციელების ადგილებს, რის შემდეგაც მოამზადებენ ანგარიშს და ასახავენ პროექტის ინდიკატორებიდან გადახვევის შემთხვევებს.

საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგისა ან/და შეფასების პროცესში ჩაერთვებიან დამოუკიდებელი ექსპერტებიც. მათი რჩევები, ეროვნულ კოორდინატორსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან რეგულარულ კონსულტაციებთან ერთად, დაეხმარება გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს ადაპტაციური და შედეგებზე დაფუძნებული მენეჯმენტის გაძლიერებაში. საჭიროების მიხედვით, ორგანიზებული იქნება შესაძლებლობათა განვითარების, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგებიც, სათემო მონიტორინგისა და ადაპტაციური მართვის გასაძლიერებლად.

ეროვნული კოორდინატორი განაგრძობს პროექტების მონაცემთა ბაზის შევსებას მაგალითებითა და მიღებული გამოცდილებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პროექტების დონეზე მონიტორინგისა და შეფასების აქტივობები, პასუხისმგებელი მხარეები და ვადები.

ეროვნული კოორდინატორი ყოველთვიურად განაახლებს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის მონაცემთა ბაზას და მოიცავს ისეთ ძირითად თემებს, როგორიცაა პროექტების შერჩევის პროცესი, ეროვნული კოორდინატორის შეხვედრები, პროექტის მონიტორინგისა და შეფასების აქტივობები (მათ შორის, ადგილზე ვიზიტები), პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა, რესურსების მობილიზაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ზოგადად, ქვეყნის პროგრამის სტრატეგია შექმნის საფუძველს პროგრამის მიმოხილვის ანგარიშების შეფასებისა და შემუშავებისთვის. ქვეყნის პროგრამის სტრატეგია იქნება დინამიკური დოკუმენტი, რომელსაც რეგულარულად განიხილავს და გადახედავს ეროვნული კოორდინატორი და ეროვნული სამუთვალყურეო საბჭო, გლობალური პროგრამის მართვის ცენტრალურ ჯგუფთან შეთანხმებით. პროგრამის მიმოხილვის ანგარიშის მომზადებას უხელმძღვანელებს ეროვნული კოორდინატორი, თუმცა, ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აქტიურ როლს შეასრულებს ქვეყნის პროგრამის შესრულების შეფასებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია პროგრამის დონეზე მონიტორინგისა და შეფასების აქტივობები, პასუხისმგებელი მხარეები და ვადები.

ცხრილი 5. მონიტორინგისა და შეფასების გეგმა ქვეყნის პროგრამის დონეზე

| მონიტორინგი და შეფასება | მიზანი | პასუხისმგებელი მხარეები | ბიუჯეტის წყაროები | ვადები |
|---|---|---|---|---|
| ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის შემუშავება | მოქმედებათა ჩარჩო, მათ შორის, სათემო პროექტების იდენტიფიკაცია | ეროვნული კოორდინატორი, ეროვნული სამეთვალყურეო საბჭო, დაინტერესებული მხარეები ქვეყანაში, გრანტის მიმღები | მცირე გრანტების პროგრამის დაგეგმვის გრანტი, კონსულტანტების ჩართვის მიზნით, შეიძლება გამოყენებული იქნას ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის მე-8 სამუშაო ფაზის განახლებისთვის | მე-8 სამუშაო ფაზის დაწყებისას |
| პროექტთა შედეგების განხილვა და ანალიზი, როგორც ნაწილი ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებისა. ეს ასევე მოიცავს ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის ყოველწლიურ მიმოხილვას | პროექტების, ქვეყნის პორტფოლიოს შეფასება; სწავლა და ადაპტაციური მენეჯმენტი | ეროვნული კოორდინატორი, ეროვნული სამეთვალყურეო საბჭო, UNDP-ის საქართველოს ოფისი. საბოლოო შედეგები გაზიარებული და გაანალიზებულია პროგრამის მართვის ცენტრალურ ჯგუფის კოლეგებთან | პერსონალის სამუშაო დრო; ბიუჯეტი | ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის, მინიმუმ, ყოველწლიური მიმოხილვა, რათა მე-8 სამუშაო ფაზაში სტრატეგია მიჰყვებოდეს მისი მიზნების მიღწევის გზას და, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს მტკიცებულებებზე დაყრდნობით [2] |
| ყოველწლიური მონიტორინგის | იძლევა ეფექტური ანგარიშგების საშუალებას პროგრამის მართვის ცენტრალურ | ეროვნული კოორდინატორი, ეროვნულ სამეთვალყურეო საბჭოსთან მჭიდრო | პერსონალის სამუშაო დრო | წელიწადში ერთხელ ივნისი-ივლისის პერიოდში |

[2] რეკომენდებულია, რომ ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის წლიური მიმოხილვა ჩატარდეს მონიტორინგის წლიური ანგარიშის მომზადების მახლობლად, რითაც ორივე პროცესი ისარგებლებს (სასურველი პერიოდია მაისი-ივლისი). გაითვალისწინეთ, რომ მე-8 სამუშაო ფაზის ქვეყნის პროგრამის სტრატეგია ცოცხალი დოკუმენტია და შესაძლებელია პერიოდულად განახლდეს, ქვეყანაში მცირე გრანტების პროგრამის გუნდისა და ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს მონაწილეობით, მაქსიმალური გავლენის მისაღწევად.

| მონიტორინგი და შეფასება | მიზანი | პასუხისმგებელი მხარეები | ბიუჯეტის წყაროები | ვადები |
|---|---|---|---|---|
| ანგარიშების კითხვარი [3] | ჯგუფისა და GEF-ის მიმართ. განიხილება, როგორც დონორებისთვის შედეგების აღრიცხვისა და ანალიზის წარდგენის მთავარი ინსტრუმენტი | თანამშრომლობით. პროგრამის მართვის ცენტრალურ ჯგუფიშეიმუშავებს ტექნიკურ სახელმძღვანელოს და იბარებს ქვეყნის მიერ მომზადებულ საბოლოო ანგარიშს შემდგომი ქმედებებისთვის | | |
| ქვეყნის პორტფოლიოს მიმოხილვა | შედეგების მეთოდოლოგიური გამოვლენა კონკრეტულ მომენტში, რათა აღირიცხოს გავლენის დონის ცვლილება და უფრო ფართოდ გავრცელება. ამის მიზანია, დაინტერესებული მხარეების მიმართ ანგარიშგების მხარდაჭერა, სწავლა და ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის მიზანმიმართული განვითარებისა | ეროვნული კოორდინატორი, ეროვნული სამეთვალყურეო საბჭო | მცირე გრანტების პროგრამის დაგეგმვის გრანტი, კონსულტანტების ჩართვის მიზნით, შეიძლება გამოყენებული იქნას წინა ოპერაციული ციკლების გავლენის შესაფასებლად და მიღებული გამოცდილების გამოსაყენებლად მე-8 სამუშაო ფაზის ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის როგორც შემუშავების, ასევე დანერგვისთვის.<br><br>გლობალური ტექნიკური | ერთხელ, ოპერაციული ფაზის განმავლობაში |

[3] სავალდებულოა ქვეყნის მხრიდან ყოველწლიური მონიტორინგის პროცესის მიმართ დროული და ხარისხიანი ანგარიშგება. ამ გზით პროგრამის მართვის ცენტრალურ ჯგუფის გაერთიანებულ ანგარიშს წარუდგენს GEF- ს, UNDP- ს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

| მონიტორინგი და შეფასება | მიზანი | პასუხისმგებელი მხარეები | ბიუჯეტის წყაროები | ვადები |
|---|---|---|---|---|
| | და შესრულების მხარდაჭერა | | მონიტორინგი და შეფასება | |
| მცირე გრანტების პროგრამის მონაცემთა ბაზა | მცირე გრანტების პროგრამის მონაცემთა ბაზაში ყველა პროექტისა და ქვეყნის პროგრამის შედეგების ზედმიწევნით ასახვა | ეროვნული კოორდინატორი | პერსონალის სამუშაო დრო | ოპერაციულ ფაზაში. მონაცემების ხარისხიანი შეგროვება წლიური მონიტორინგის ციკლის დაწყებამდე (ყოველი წლის მაისი-ივნისი) |
| აუდიტი | უზრუნველყოს პროექტის დანერგვის/მართვის სტანდარტებსა და ნორმებთან შესაბამისობა | გარე/დამოუკიდებელი აუდიტორები. ეროვნული კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო მხარდაჭერას | სრული ოპერაციული ბიუჯეტი | ყოველწლიურად, რისკების შეფასების მიხედვით შერჩეული ქვეყნებისთვის |

დამატებით, მე-5 ცხრილი გამოიყენება მონიტორინგისა და შეფასებისთვის, რადგან ის აღწერს ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის ლოგიკურ ჩარჩოს, როგორც პროგრამულ, ისე პროექტების დონეზე და, ამგვარად, ქმნის საფუძველს მონიტორინგისა და შეფასებისთვის. ცხრილში დეტალურადაა მოცემული მოსალოდნელი შედეგები პროგრამულ დონეზე, შესაბამის სამიზნე ინდიკატორებსა და ვერიფიკაციის საშუალებებთან ერთად, შერჩეული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტების ფარგლებში. ის ასევე განსაზღვრავს დაგეგმილი პროექტების სავარაუდო რაოდენობას და პროექტის აქტივობებს, რომლებიც დაგეგმილია თითოეული მოსალოდნელი შედეგის ფარგლებში.

## 9.2 ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის შედეგების ჩარჩო

ცხრილი #6: მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზაში ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის შედეგების ჩარჩო

**შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:**

ქვეყნის პროგრამის სტრატეგია ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების მიღწევას: მე-15 მიზანი (ტყეების მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, მიწის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა, ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება), მე-13 მიზანი (გადაუდებელი ზომების მიღება კლიმატის ცვლილებასა და მის შედეგებთან საბრძოლველად) და მე-11 მიზანი (გავხადოთ ქალაქები ინკლუზიური, უსაფრთხო, გამძლე და მდგრადი).

სინერგია გაეროს განვითარების პროგრამის ქვეყნის სამოქმედო პროგრამის დოკუმენტთან (CPD):

ქვეყნის პროგრამის სტრატეგია თანმიმდევრულად მიჰყვება UNDP-ის სამოქმედო პროგრამა საქართველოსთვის; კერძოდ, თანხვედრაშია შედეგთან 2.1. გარემოსდაცვითი მმართველობისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება ბუნებრივი/მიწის რესურსების რაციონალური, სამართლიანი და მდგრადი გამოყენების, ეკოსისტემების შენარჩუნების, ინკლუზიური მწვანე ეკონომიკისთვის ინოვაციური და კლიმატთან დაკავშირებული ტექნოლოგიების გამოყენების, ენერგოეფექტურობისა და სუფთა ენერგიის წარმოების უზრუნველსაყოფად და თემების გარემოსდაცვითი შოკების მიმართ მდგრადობის გაზრდის მიზნით, და შედეგთან 2.2. კლიმატის ცვლილებისადმი მგრძნობიარე, მდგრადი და რისკებზე ორიენტირებული განვითარების ხელშეწყობა ყველა სექტორში, ადაპტაციური შესაძლებლობების გაზრდისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესამცირებლად.

**მცირე გრანტების პროგრამის მე-8 სამუშაო ფაზის მიზანი:** ჩართოს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები სახმელეთო /საზღვაო ლანდშაფტების მართვის საკითხებში; უზრუნველყოს მათთვის ცოდნასა და ინფორმაციაზე წვდომა; გააძლიეროს მათი შესაძლებლობები პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებით და უნარების განვითარებით; ასევე მიაწოდოს ტექნიკური და საგრანტო მხარდაჭერა იმ ინტერვენციებისთვის, რომლებიც აუმჯობესებს კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და ქმნის გლობალურ გარემოსდაცვით სარგებელს.

| **1**<br><br>მე-8 სამუშაო ფაზის სტრატეგიული ინიციატივები | **2**<br><br>ქვეყნის პროგრამის სტრატეგიის ინდიკატორები და მიზნები | **3**<br><br>გადამოწმების საშუალებები |
|---|---|---|
| სტრატეგიული ინიციატივა 1:<br><br>საფრთხის წინაშე მყოფი ეკოსისტემებისა და სახეობების თემზე დაფუძნებული კონსერვაცია | სახმელეთო ლანდშაფტის სულ მცირე 10, 000 ჰა ფართობზე გაუმჯობესდა მართვა ბიომრავალფეროვნების სასიკეთოდ<br><br>მცირე გრანტების პროგრამის პროექტებმა დადებითად იმოქმედეს, სულ მცირე 3 დაცულ ტერიტორიაზე<br><br>დაფინანსდა სულ მცირე 2 პროექტი რომელიც მიმართულია მოწყვლადი სახეობების კონსერვაციაზე | მცირე გრანტების პროგრამის ქვეყნის გუნდის ინდივიდუალური ანგარიშები პროექტებზე (რაც შევა პროექტის მიმდინარეობის შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში)<br><br>წლიური მონიტორინგის ანგარიში, მცირე გრანტების პროგრამის გლობალური მონაცემთა ბაზა<br><br>საბოლოო პროგრამის ანგარიში |

| | | |
|---|---|---|
| | | ქვეყნის პროგრამის მიმოხილვა |
| სტრატეგიული ინიციატივა 2:<br><br>მდგრადი სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და სურსათის უსაფრთხოება | სულ მცირე 100 ჰექტარი სახმელეთო ლანდშაფტი (მიწა და ტყე) მოქცეულია მდგრადი მართვის ქვეშ<br><br>მცირე გრანტების პროგრამის მხარდაჭერით, ჩამოყალიბდა სულ მცირე, 2 პარტნიორობა სურსათის წარმოების მდგრადი მართვის და მომარაგების ჯაჭვის მართვის გასაუმჯობესებლად<br><br>სულ მცირე, 50 ოჯახია ჩართული ან სარგებელს იღებს მდგრადი სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და სურსათის უსაფრთხოების  პრაქტიკით. | მცირე გრანტების პროგრამის ქვეყნის გუნდის ინდივიდუალური ანგარიშები პროექტებზე (რაც შევა პროექტის მიმდინარეობის შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში)<br><br>წლიური მონიტორინგის ანგარიში, მცირე გრანტების პროგრამის გლობალური მონაცემთა ბაზა<br><br>ქვეყნის პროგრამის მიმოხილვა |
| სტრატეგიული ინიციატივა 3:<br><br>დაბალნახშირბადიან ენერგიაზე ხელმისაწვდომობა და მასთან დაკავშირებული თანმხლები სარგებელი | შემცირებული/აცილებულია 1 ტონა სათბური აირების ემისიები<br><br>დამონტაჟებული განახლებადი ენერგიის წყაროებიდან (მაგ., ბიომასა, მიკროჰიდრო, მზის და ა.შ.) მიღებული სიმძლავრე გაზრდილია 100 კვტ-ით<br><br>დამონტაჟებულია, სულ მცირე - 3 ადგილობრივ პირობებზე მორგებული წარმატებული მოდელი, რომელიც ხელს უწყობს დაბალნახშირბადიან ტექნოლოგიების პოპულარიზაციას (მაგალითად: ახალი/მოდიფიცირებული ბიოგაზის ტექნოლოგია, ადგილობრივად შემუშავებული ენერგოეფექტური ღუმელები, მზისა და ქარის ენერგიის ინოვაციური მოდელები და სხვ.) | მცირე გრანტების პროგრამის ქვეყნის გუნდის ინდივიდუალური ანგარიშები პროექტებზე (რაც შევა პროექტის მიმდინარეობის შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში)<br><br>წლიური მონიტორინგის ანგარიში, მცირე გრანტების პროგრამის გლობალური მონაცემთა ბაზა<br><br>ქვეყნის პროგრამის მიმოხილვა |
| სტრატეგიული ინიციატივა 4: | დანერგილია მინიმუმ 2 თემზე დაფუძნებული ურბანული გადაწყვეტა (მათ შორის: სახიფათო ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების მართვა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ბიომრავალფეროვნება); | მცირე გრანტების პროგრამის ქვეყნის გუნდის ინდივიდუალური ანგარიშები პროექტებზე (რაც შევა პროექტის |

| | | |
|---|---|---|
| მდგრადი ურბანული გადაწყვეტილებების სტიმულირება | | მიმდინარეობის შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში)<br><br>წლიური მონიტორინგის ანგარიში, მცირე გრანტების პროგრამის გლობალური მონაცემთა ბაზა<br><br>ქვეყნის პროგრამის მიმოხილვა |
| სტრატეგიული ინიციატივა 5:<br><br>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების-მთავრობის-კერძო სექტორის დიალოგის პლატფორმა პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვისათვის | ჩამოყალიბდა ან გაძლიერდა მინიმუმ 2 სადისკუციო სივრცე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მთავრობასა ან/და კერძო სექტორს შორის;<br><br>მრავალმხრივი დისკუსიაში  საქმიანად ჩაერთო სხვადასხვა სოციალური ჯგუფების (ქალები, ახალგაზრდები, ფერმერები და სხვა მარგინალიზებული ჯგუფები) მინიმუმ 50 წარმომადგენელი | მცირე გრანტების პროგრამის ქვეყნის გუნდის ინდივიდუალური ანგარიშები პროექტებზე (რაც შევა პროექტის მიმდინარეობის შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში)<br><br>წლიური მონიტორინგის ანგარიში, მცირე გრანტების პროგრამის გლობალური მონაცემთა ბაზა<br><br>ქვეყნის პროგრამის მიმოხილვა |
| სტრატეგიული ინიციატივა 6:<br><br>სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესება | გვყავს, სულ მცირე, 500 უშუალო ბენეფიციარი (გენდერული ბალანსის დაცვით)<br><br>მცირე გრანტების პროგრამის, სულ მცირე, 10 პროექტი განხორციელდა ქალთა ხელმძღვანელობით და/ან მოიცავდა თანამონაწილეობის კონკრეტულ მექანიზმებს ქალთა ჩართულობის გასაზრდელად.<br><br>სულ მცირე, 3 სანიმუშო პროექტი წარმოაჩენს ინკლუზიურ მიდგომას<br><br>გაიცა სულ მცირე  3 გრანტი მიზნობრივი მხარდაჭერით: 1) ქალებისთვის ან ქალთა ჯგუფებისთვის; 2) ახალგაზრდებისთვის ან | მცირე გრანტების პროგრამის ქვეყნის გუნდის ინდივიდუალური ანგარიშები პროექტებზე (რაც შევა პროექტის მიმდინარეობის შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში)<br><br>წლიური მონიტორინგის ანგარიში, მცირე გრანტების პროგრამის გლობალური მონაცემთა ბაზა |

| | | |
|---|---|---|
| | ახალგაზრდების მიერ მართული ჯგუფებისთვის<br><br>გრანტების მთლიანი პორტფელის სულ მცირე 20% გაცემულია 1) ქალებისთვის ან ქალთა ჯგუფებისთვის; 2) ხალგაზრდებისთვის ან ახალგაზრდების მიერ მართული ჯგუფებისთვის. | ქვეყნის პროგრამის მიმოხილვა |
| სტრატეგიული ინიციატივა 7:<br><br>მონიტორინგი და შეფასება, ცოდნის მართვა | სულ მცირე, 2 ღონისძიება ტარდება ადგილობრივი თემების მონაწილეობით, ცოდნის გაცვლის/გაზიარების მიზნით<br><br>სულ მცირე, 1 სამხრეთი-სამხრეთის თანამშრომლობა ჩამოყალიბდა თემებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ან სხვა პარტნიორებს შორის, ქვეყნის შიგნით ან ქვეყნებს შორის, გარემოსდაცვით საკითხებზე ცოდნის გაზიარების, ტექნოლოგიების, ინსტრუმენტების ან მიდგომების გაზიარების მიზნით | მცირე გრანტების პროგრამის ქვეყნის გუნდის ინდივიდუალური ანგარიშები პროექტებზე (რაც შევა პროექტის მიმდინარეობის შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში)<br><br>წლიური მონიტორინგის ანგარიში, მცირე გრანტების პროგრამის გლობალური მონაცემთა ბაზა<br><br>ქვეყნის პროგრამის მიმოხილვა |